ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი, 2011 №255 (5635) ფასი: 30 თეთრი

აქცია!
„ახალი თაობა“
+ განდი
5 ლარი




# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილმა ხალხის შეიარაღება დაიწყო“



გვ.2

## ლევან ვარშალომიძემ მარტოხელა დედები, მოხუცები და ინვალიდები ქუჩაში გამოყარა

გვ. 4



რატომ დაიხურა აჭარაში ერთადერთი საქველმოქმედო სახლი



## გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი ჯერჯერობით უშეცდომოდ მოქმედებს“

გვ. 2



## თემურ შაშიაშვილი: „სკამის შესანარჩუნებლად სააკაშვილი ოჯახის წევრებსაც გაწირავს“

გვ. 4



## ახმეტელ ოპოზიციონერს ივანიშვილის მხარდაჭერის გამო სდევნიან

გვ.5

„მეშინია, ჩემს შვილს ნარკოტიკი ან იარაღი არ ჩაუდონ“

## მიხეილ სააკაშვილი 45-60 წლის ადამიანების დასაქმებას ითხოვს

გვ. 3



## გიგი უგულავას ხალხმა შიფერი დააცურა და ხალხი დააზარალა

გვ. 5

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



გვ. 3

## ქართული კომპანიები რუსულ ბაზარზე ხელისუფლების გვერდის ავლით დაბრუნდებიან

ISSN 1987-9385

8 ივანიშვილს პარტიების დაფინანსებას ევროსაბჭო უკრძალავს?

8 ოპოზიცია ვენეციის დასკვნის მოლოდინშია

5 საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება

8 საქართველოს მილიონი ეწვია

# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილმა ხალხის შეიარაღება დაიწყო“

შორენა კოწოწაშვილი

**პოლიტიკური მოძრაობა „კანონი და სამართლიანობის“ ლიდერი შალვა ხაჭაპურიძე სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან უახლოეს მომავალში პროცესების საკმაოდ მძიმე განვითარებას პროგნოზირებს. როგორც ხაჭაპურიძე აცხადებს, ამ დასკვნის საფუძველს მას ის ინფორმაციები აძლევს, რომლებიც მან რამდენიმე დღის წინ სამეგრელოდან მიიღო და რომლის უტყუარობაშიც ეჭვი არ ეპარება.**

ხაჭაპურიძე დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ქვეყნისთვის არაერთ სახიფათო გეგმას ამუშავებს.

გთავაზობთ ინტერვიუს პარტია „კანონი და სამართლიანობის“ თავმჯდომარე შალვა ხაჭაპურიძესთან.

***— ბატონო შალვა, რას იტყვით სამთავრობო ცვლილებებზე? ითქვა, რომ მოხდება არა მხოლოდ პრემიერის შეცვლა, არამედ მძიმე არტილერიის — თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას საარჩევნოდ გარანტირებული ხმებისთვის იმერეთის გუბერნატორად გადაიყვანენ.***

— კეზერაშვილის ეკონომისტობა მე არ გამიგია. გამიგია, კეზერაშვილი ნარკომანიაო, იარაღის ბიზნესშიაო და ა.შ. მისი პრემიერმინისტრობა ამ ქვეყნისთვის კატასტროფაა, იმიტომ რომ აქ უკვე დამთავრებული, ჩამოყალიბებული სახით ნაციზმთან გვექნება საქმე თავისი ყველა მოცემულობით. ხომ ხედავთ, ამ ადამიანების დარაზმვა ხდება კუთხეების მიხედვით. მე ვფიქრობ და ინფორმაცია მაქვს, რომ ხელისუფლება სამეგრელოში გარკვეულ პროვოკაციებს ამზადებს. არის ასეთი ინფორმაცია, რომ ბაჩო ახალაიას ხალხი დადის იქ და ადამიანების რამდენიმე ჯგუფთან აქვს მოლაპარაკება, რომლებიც დადიან და ავრცელებენ ხმებს, რომ ჩვენ მალე რუსეთი დაგვესხმება თავს. ეს მოხდება აფხაზეთის მხრიდან და ამიტომ თქვენ უნდა იყოთ პირველად ის ხალხი, ვინც პარტიზანული ომი უნდა წამოიწყოთო.

***— ანუ სამეგრელოში მოსახლეობის შეიარაღების პროცესი მიდის?***

— კი. შეიარაღების პროცესი მიდის. შემდეგ ამას არ უკავშირებენ, მაგრამ ძალიან კარგად უნდა დავაკვირდეთ, რატომ ხდება ქუთაისში ფაქტობრივად დედაქალაქის გადატანა. კარგად უნდა გავიაზროთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე რასთან გვაქვს. კი ბატონო, პარლამენტი გადაიტანეს. გერმანიაშიც ასე მოხდა, თუმცა იქ პარლამენტის გადატანის მიზეზი სხვა იყო და ამას არ გამოუწვევია დიდი დისკომფორტი და ხარჯები. სააკაშვილმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ მთავრობაც უნდა გადავიდეს. სააკაშვილი პრემიერმინისტრობისთვის ემზადება და პრემიერიც ქუთაისში უნდა იჯდეს. თბილისი რა, დედაქალაქი აღარ იქნება? რა ფუნქცია ექნება ამ ქალაქს? რას ნიშნავს — სამეგრელოში ხალხი იარაღდება, თბილისი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას კარგავს და ა.შ. სადამდე წავა ეს ყველაფერი?!


შალვა ხაჭაპურიძე

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდება ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტს ქუთაისში პოლიტიკური ცენტრის გაკეთება?***

— ხალხის შეიარაღება და მსგავსი პროვოკაციები, დამეთანხმებით, შემთხვევით არ ხდება. გამოვა სააკაშვილი და იტყვის, ეს ყველაფერი რუსეთიდან იმართება, გადაკეტავს რიკოთის უღელტეხილს, ქუთაისში დაჯდება პრემიერ-მინისტრად და იტყვის, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ აღმოსავლეთ საქართველოს დასაბრუნებლად, ვინაიდან იგი დაპყრობილია ჩვენი მტრების — რუსებისა და მათი თანამზრახველების მიერ.

***— ეს ვარაუდებია თუ რეალური ინფორმაცია?***

— ეს არის რეალური ინფორმაცია. სხვათა შორის, ამან გაზეთებშიც გაიჟღერა. ასეთი მოსაზრებები აშკარად ტრიალებს და, როგორც ჩანს, სააკაშვილი ამისთვის სერიოზულად ემზადება. ეს ინფორმაცია დაახლოებით 4-5 დღის წინ მივიღე. დანამდვილებით ვიცი, რომ ახალაიები ასეთი ტიპის მოლაპარაკებებს აწარმოებენ გარკვეულ დაჯგუფებებთან.

***— როდის შეიძლება ამუშავდეს ეს გეგმა?***

— როგორც კი აქ სიტუაცია გამწვავდება, სააკაშვილი ამ გეგმის განხორციელებაზე წავა. პირველად ხელისუფლება რასაც შეეცდება, არის ის, რომ გარკვეული ძალების დახმარებით მოსახლეობა ქუჩაში გამოიყვანოს. სააკაშვილისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, აქ იყოს დაძაბული სიტუაცია, რომ შემდეგ განცხადება გააკეთოს, ნახეთ, რა მდგომარეობააო. ეს უნდა იმისათვის, რომ არჩევნები ჩაშალოს. თუ არჩევნებს წააგებს, რუსული გეგმით წავა. მაქვს ინფორმაცია, რომ ახალ პატრიარქს გამოაცხადებს და დასავლეთ საქართველოში გამაგრდება.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის სააკაშვილი ქვეყნის დაშლაზე წავა?***

— კი, რა თქმა უნდა, სააკაშვილი წავა ქვეყნის დაშლაზე და შემდეგ დახმარებისთვის ევროკავშირს, ამერიკასა და ცივილიზებულ სამყაროს მიმართავს. მაგრამ, დარწმუნებული იყავით, ცივილიზებული სამყარო მას არ გამოეხმაურება. სამაგიეროდ სააკაშვილს რუსეთი გამოეხმაურება. ამას მოჰყვება ევროაზიის კავშირში გაერთიანება, ანუ სააკაშვილი შევარდნაძის გზას იმეორებს. კარგად გემახსოვრებათ, რას მოჰყვა დსთ-ში გაწევრიანება — სამოქალაქო ომს. როდესაც შევარდნაძემ აშკარა საფრთხე იგრძნო, ხელებაწეული ჩაბარდა რუსეთს. იგივე სქემა ამუშავდება დღეის მდგომარეობითაც. სააკაშვილი აპირებს, რომ საქართველომ ევროაზიის კავშირში ამოყოს თავი, ოღონდ — კონფედერაციით. სააკაშვილი აპირებს, ცნოს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ცხინვალის, ანუ მათი ტერმინებით თუ ვიტყვით, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და კონფედერაციით შევიდეს უკვე ამ ევროაზიის კავშირში. ჯერ ხმამაღლა მხოლოდ იმას ამბობენ, რომ ეს იქნება ეკონომიკური კავშირი. თუმცა, ჩვენი მეზობლის პოლიტიკურ გეგმებს თუ გავაანალიზებთ, ეს უფრო პოლიტიკური კავშირი იქნება, ვიდრე ეკონომიკური. სხვათა შორის, ამაზე რუსი პოლიტიკოსები დიდი ხნის წინ წერდნენ. იგივე გაიმეორა ანდრეი სახაროვმა, დისიდენტმა. მათი ნაწერებიდან ირკვევა, რომ ჩვენ ჩვენი ხედვებით უფრო ახლოს ვართ მონღოლური იმპერიასთან, ვიდრე რაღაც გაუგებარ ევროპულ, ჩვენთვის მიუღებელ ცივილიზაციასთანო. აი, დაახლოებით ამ სქემის გათამაშებას აპირებს სააკაშვილი.

# უზენაესმა სასამართლომ დავა მეწარმის სასარგებლოდ გადაწყვიტა



2011 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შპს ,,ვივა“-სა და შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონულ ცენტრს შორის დავა დაასრულა.

შპს “ვივას“ წარმომადგენელი სარჩელით ითხოვდა საგადასახადო სამსახურის შემოწმების აქტის, 86 225 ლარის დარიცხვის ნაწილში, ბათილად ცნობას; ამასთანავე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას.

შპს “ვივა“ სხვადასხვა ნედლეულის იმპორტით არის დაკავებული, იგი ასევე დიზელის საწვავსა და მაზუთს აწარმოებს. სადავო საკითხი, სწორედ გარემოს მავნე ნივთიერებებისგან დაბინძურების კანონით დაწესებულ გადასახადს შეეხებოდა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ბათილად ცნო ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლითაც შპს “ვივას“ გადასახდელად დაერიცხა მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადი 86 225 ლარის ოდენობით.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მართალია, მითითებული გადასახადის გადახდის ვალდებულება დეკლარირებული იყო თავად გადასახადის გადამხდელის მიერ, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოს მიერ რეალიზებული მაზუთის გოგირდშემცველობა არ აღემატებოდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრის დასაშვებ ნორმას, რისი გათვალისწინებითაც საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია გარემოს დაბინძურების გადასახადის ხელახალი დაანგარიშება და არასწორად დარიცხული თანხების გაუქმება.

# ნარკოდანაშაულის ფაქტზე სასამართლომ განაჩენი დაადგინა

2011 წლის 24 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა წარსულში ნასამართლევი ზურაბ ხუციშვილის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვა.

საქმის მასალების მიხედვით: გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ზურაბ ხუციშვილმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი.

2011 წლის 21 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, თბილისში კოსტავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებული იქნა ზურაბ ხუციშვილი. მას პირადი ჩხრეკის შედეგად 0,2085 გრამი ნარკოტიკული საშუალება ,,ჰეროინი“ აღმოაჩნდა.

ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განაცხადა, რომ ნარკოტიკული საშუალების ჩადება მოხდა მისი დამკავებელი პოლიციის თანამშრომლების მიერ, ვინაიდან იგი იდევნება მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

საქმის არსებითი განხილვისას სასამართლოს მიერ გამოკვლეული იქნა, როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რის შედეგად სასამართლომ მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა, ზ. ხუციშვილის დამნაშავედ ცნობისათვის. კერძოდ: ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი; ამოღებული ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება ჰეროინს; ასევე მოწმეთა ჩვენებები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ბრალდებულის დაკავებისას არანაირ კანონდარღვევას და იძულებას ადგილი არ ჰქონია; ნარკოლოგიური გამოკვლევის დასკვნა, რომლის თანახმად ზ. ხუციშვილს როგორც კლინიკურად, ასევე ლაბორატორიულად დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზურაბ ხუციშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა“ ქ/პუნქტით წარგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 (რვა) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი ჯერჯერობით უშეცდომოდ მოქმედებს“

შორენა კოწოწაშვილი

## ინტერვიუს ექსპერტ გია ხუხაშვილთან

***— ბატონო გია, ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, რომ ივანიშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი გზებით იბრძვის. ხელისუფლებამ პოლიტიკურ ოპონენტთან ბრძოლის რამდენად სწორი ტაქტიკა აირჩია?***

— მე მგონი, დიდი კითხვის ნიშანი არ უნდა იმას, რამდენად სამართლებრივია ის გზები, რომლებითაც ბიძინა ივანიშვილს ებრძვიან. ნამდვილად ვერ ვხედავ მოვლენების სამართლებრივ განვითარებას. მე ვფიქრობ, რომ პირველ ეტაპზე ამას ძალიან სახიფათო ფორმები ჰქონდა. პოლიტიკურად ხელისუფლებისთვის მაინცდამაინც არ უნდა ყოფილიყო მომგებიანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლების მხრიდან ცხელი გადაწყვეტილებების მიღება იქნა ინიცირებული. სწორედ აქედან გამომდინარე, მე ფიქრობ, ხელისუფლებამ რამდენიმე შეცდომის დაშვება უკვე მოასწრო. თუმცა ბოლო რამდენიმე დღეა ეს პროცესი მეტნაკლებად შეჩერდა, რაც უდავოდ მისასალმებელია.

***— სერიოზული შეცდომა იყო ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა?***


გია ხუხაშვილი

— ბუნებრივია. ეს არათუ შეცდომა იყო, ეს იყო საკუთარი სისუსტის პირდაპირი გამოვლინება ხელისუფლების მხრიდან.

***— თქვენი აზრით, ამ ფაქტს დასავლეთის მხრიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვება და გარკვეული ზეწოლაც იქნება ხელისუფლებაზე, რომ ივანიშვილს აღუდგინონ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, რომელიც მან ნატურალიზაციით მიიღო?***

— რა თქმა უნდა. ყველასთვის გასაგებია მიზეზი, რის გამოც ჩამოართვა პრეზიდენტმა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა. რაც არ უნდა სამართლებრივი კაზუისტიკით შეიფუთოს ეს ყველაფერი, ამის მიუხედავად, ეს ფაქტი ცალსახად როგორც დასავლეთის, ისე საქართველოს მოსახლეობის თვალში, ჩემი აზრით, ერთ-ერთი პოლიტიკური მოწინააღმდეგის ოდიოზური ჩამოშორების მცდელობაა. რაც არ უნდა გვესაუბრონ ისინი რაღაც ნიუანსებზე, გასაგებია, რომ პოლიტიკურად ეს თემა უკვე წაგებულია. მათი აშკარა ფანებიც კი რუსულ საექსპერტო წრეებში ნოვოდვორსკაიასა და ბარავოის სახით, გაოცებული არიან სააკაშვილის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ მხარს უჭერენ დღევანდელ ქართულ ხელისუფლებას. ისინიც კი უკვე საქართველოს პუტინიზაციაზე ალაპარაკდნენ. მე ვფიქრობ, ეს უკვე ძალიან ცუდი სიმპტომია.

***— ბატონო გია, თქვენ შეცდომები ახსენეთ. სააკაშვილი ირწმუნება, რომ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც მას მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს. რატომ დაუშვა ასეთი სერიოზული შეცდომები, ვერ გათვალა თუ ფიქრობს, რომ რასაც უნდა, მაინც იმას გააკეთებს?***

— ეს არის კითხვა, რომელსაც ჩვენს ხელისუფლებას მეც დიდი სიამოვნებით დავუსვამდი.

***— იცით, რატომ გეკითხებით? ივანიშვილის გამოჩენას დროში დაემთხვა ენდეაის კვლევების შედეგები, რომელიც კვლავ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მაღალ რეიტინგს აფიქსირებს. თუ ასეთი მაღალი ნდობა აქვს ხელისუფლებას მოსახლეობაში, ივანიშვილის გამოჩენამ რატომ ააწრიალა?***

— ენდეაის კვლევებს რაც შეეხება, მე მინდა მივუსამძიმრო ამ კვლევების დამკვეთს, იმიტომ რომ მან, უბრალოდ, ფული წყალში გადაყარა. გამომდინარე იქიდან, რომ ივანიშვილის გამოჩენამდე იქნა ეს კვლევები ჩატარებული და, შესაბამისად, ამ კვლევების შედეგები შეუძლიათ პირდაპირ ნაგავში გადაყარონ, იმიტომ რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი და ამ კვლევებს უკვე აზრი აქვს დაკარგული.

***— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ქართული პოლიტიკა რეალური ცვლილებების გზაზე დგას და საპარლამენტო არჩევნები ხელისუფლებისთვის მრავლისმთქმელი იქნება.***

— ის, რომ ყველაფერი უკვე შეიცვალა, ფაქტია. ეს ყველაფე-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ხუხაშვილი: „ივანიშვილი ჯერჯერობით უშეცდომოდ მოქმედებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

რი როგორ დამთავრდება, დღეს ძნელი სათქმელია, იმიტომ რომ, თუ ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში, ცივილიზებული პოლიტიკური კონკურენციის ფარგლებში ჩაეტია, მე ვფიქრობ, ხელისუფლებას აქვს უზარმაზარი, შეიძლება ითქვას, გადაულახავი პრობლემა. თუ სპეცმეთოდები იქნა გამოყენებული, რომელიც ამ ქვეყანაში, სამწუხაროდ, არაერთხელ გვინახავს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შეიძლება მოვლენები ძალიან რთულად განვითარდეს და არა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის იყოს საზიანო, არამედ მთლიანად ქართული სახელმწიფოსთვის. მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ კარგი გამოცდილება არ გვაქვს, ეს ეჭვი, რა თქმა უნდა, ძალიან რეალურია.

***— რაში დასჭირდა, თქვენი აზრით, ხელისუფლებას იმ სცენის გათამაშება, რაც „ქართუ ბანკთან“ მიმართებით მოხდა?***

***— ხელისუფლება იმ ნაბიჯებს დგამს, რისი გამოცდილებაც აქვს. ის მაქსიმალურად ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პოლიტიკური ოპონენტის დისკრედიტება მოახდინოს და მის იმიჯს ზიანი მიაყენოს, ანუ სანამ ადამიანი ლოიალურია ამ ხელისუფლების მიმართ, ანუ, ასე ვთქვათ, სანამ ის თავისთვის ბუჩქებში ზის და ასრულებს ხელისუფლების სასურველ როლს, კარგია. როგორც კი მას უჩნდება სურვილი, რომ რაღაცა შეცვალოს და ამაში მონაწილეობა მიიღოს, ეს მაშინვე ცხადდება რუსულ ინტერესად და ყველა შესაძლო მეთოდით იწყება მის წინააღმდეგ ბრძოლა თანაც, ბრძოლა იწყება ყველა მიმართულებით, რაც ძალიან სამწუხაროა.***

— ხელისუფლებას ივანიშვილისთვის ფინანსები დღესაც აინტერესებს? ფაქტია, დატაცებული თანხის დაბრუნებას არ აპირებს.

***— ალბათ. ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ ხელისუფლებისთვის იყო ძალიან კარგი, სანამ ის ხელისუფლების ფინანსისტი იყო. მაშინ ივანიშვილისა და მისი ფულის წარმომავლობასთან, მგონი, ამ ხელისუფლებას პრეტენზიები არ ჰქონია. მაგრამ, როგორც კი ივანიშვილმა რაღაც თქვა, ანუ განაცხადა, რომ მას უნდა თვითონ მიიღოს მონაწილეობა ამ ქვეყნის პრობლემების გადაწყვეტაში, მაშინვე ყველას გაახსენდა, რომ თურმე ის ქართველიც არ ყოფილა, რუსი ყოფილა. ეს ყველაფერი იმდენად თეთრი ძაფით არის ნაკერი, რომ, დარწმუნებული ვარ, ვინც ამას ლაპარაკობს, თვითონაც არ სჯერა.***

— თქვენ ხელისუფლების შეცდომები გამოყავით. ივანიშვილს არ დაუშვია ამ დროისთვის შეცდომა? ბევრმა მისი განცხადებები ტელევიზიებთან მიმართებით შეცდომად შეაფასა.

***— მე ბიძინა ივანიშვილის შეცდომები არ დამინახავს. ვფიქრობ, რომ დღემდე, რასაც ივანიშვილი აკეთებს, ყველაფერი სწორია, გამომდინარე იქიდან, რომ ის ცალსახად უჭერს მხარს ხელისუფლების კონსტიტუციური გზით შეცვლას და პოლიტიკურ ბრძოლას კონსტიტუციურ ფარგლებში აპირებს, რაც უდავოდ მისასალმებელია, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი მცდელობა იყო უკვე დღემდე და ალბათ ასეთი მცდელობები ნელ-ნელა გაიზრდება, ეცდებიან, პროცესები ქუჩის დაპირისპირებაში გადაიყვანონ. ყოველ შემთხვევაში, მე ბიძინა ივანიშვილს ვთხოვდი, ამ მოედანზე ხელისუფლებას და არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ სხვა პოლიტიკურ პროვოკატორებსაც არ გაჰყოლოდა. დავუშვათ, ლეიბორისტების 7 ნოემბრის აქცია, რომელიც შალვა ნათელაშვილს აქვს დაგეგმილი, პოლიტიკური პროვოკაციაა. ეს არის კლასიკური პროვოკაცია ამ არსებულ ახალ რეალობაში. მე ვფიქრობ, ივანიშვილს დღემდე შეცდომა არ დაუშვია და არც მომავალშიც დაუშვებს. თუ ვერ მოხერხდა მისი, ასე ვთქვათ, კანონის ზღვარზე დაყენება, მე, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოახერხოს ხელისუფლებამ მისი ლეგიტიმურად გაყვანა პოლიტიკური ასპარეზიდან.***

— ივანიშვილის მიერ რესპუბლიკელებსა და ირაკლი ალასანიაზე გაკეთებულმა არჩევანმა ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა. საზოგადოების ნაწილმა ეს არჩევანი დაიწუნა კიდეც.

— რესპუბლიკელებთან და ალასანიასთან თავისი ურთიერთობით ბიძინა ივანიშვილმა, უბრალოდ, თავისი ორიენტაცია გამოხატა — დასავლური ორიენტაცია არა გეოგრაფიული, არამედ ფასეულობათა სისტემის გაგებით. ივანიშვილი ამბობს, რომ დემოკრატია, რაც დასავლური ფასეულობის ქვაკუთხედია,

# მიხეილ სააკაშვილი 45–60 წლის ადამიანების დასაქმებას ითხოვს

შორენა გონგლაძე

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, —ასე იწყება ბოლო რამდენიმე დღეა ხელისუფლებისთვის თითქმის ყოველი დილა. დღე არ გავა, როგორც ქვეყნის, ასევე დედაქალაქის პირველმა პირებმა ახალ-ახალი და, რაც მთავარია, ფრიად ჰუმანური ინიციატივებით სასიამოვნოდ არ გაგვაოცონ. ნავსი პირველად დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ გატეხა, როდესაც მუნიციპალური ტრანსპორტით მოსარგებლე თბილისელებს (და არა მარტო თბილისელებს) სამგზავრო ბარათებზე ყოველგვარი ანგარების გარეშე ხუთ-ხუთი ლარი დაურიცხა. ეს ერთი საოცრება, მეორე — ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ განსახილველად საპენსიო ამნისტიის სახით ახალი იდეა შემოაგდო. ამ დღეების ბოლო ჰუმანიტარული აკორდი კი პრეზიდენტის მიერ გუშინ გაჟღერებული ინიციატივებია, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გაახმოვანა. სხდომას, მთავრობის წევრების გარდა, დეპუტატები, ბიზნესმენები და კომერციული ბანკების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

პრეზიდენტის ახალი ინიციატივა კი უფრო კონკრეტულად შემდეგში მდგომარეობს: დღეიდან მეწარმე, რომელიც 45-დან 65 წლამდე ადამიანს სამსახურში აიყვანს, საშემოსავლო გადასახადებისგან თავისუფლდება. სააკაშვილის განცხადებით, სახელმწიფო მაქსიმალურად ეცდება, ხელი შეუწყოს კერძო სექტორს უკეთ განვითარებაში, რაც, შესაბამისად, ამ ადამიანების დასაქმებას შეუწყობს ხელს.

— ჩვენ გვყავს ძალიან განათლებული, შრომისმოყვარე ადამიანები. უბრალოდ, ამ ხალხს გარემოებებში არ გაუმართლა. თუ ბიზნესმენები ამ ადამიანებს სამუშაოდ აიყვანენ, ჩვენ მივცემთ სტიმულს, რომ ისინი საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდნენ და კიდევ მოვიფიქრებთ, როგორ შევუწყოთ ხელი პირდაპირ თუ ირიბად ასეთი ხალხის კერძო სექტორში დასაქმებას, — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის კიდევ ერთი ინიციატივა რის ვაი-ვაგლახით დაპიარებულ და გასაღებულ ჰიბრიდული ჯიშის სიმინდს შეეხება. ამ იდეის გაჩენაში რამდენად დიდი როლი ითამაშა პარლამენტში ჰიბრიდული სიმინდის ფქვილით გამომცხვარმა მჭადების დაგემოვნებამ და ნახევრად გამხმარმა სიმინდის ტაროების ტრიალმა, არ ვიცით, მაგრამ, ფაქტია, რომ პრეზიდენტის განცხადებით, გლეხები ჰიბრიდული ჯიშის სიმინდის თესლის გადასახადს აღარ გადაიხდიან.

სააკაშვილის თქმით, სიმინდის პროგრამამ უმეტეს შემთხვევაში გაამართლა, თუმცა მოლოდინი გაცილებით დიდი იყო.

— ჩვენი წინადადებაა, შედგეს იმათი სია, ვისაც ეს სიმინდი მივყიდეთ. აკაკი ბობოხიძის წინადადება იყო პარლამენტში და კარგად მოვისმინე, რაც თქვა, რომ ამ ადამიანებს გადასახადი არ უნდა გადავახდევინოთ, — განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, მომავალი წლისთვის უნდა მოხდეს გლეხების ინფორმირება, თუ როგორ ხდება სიმინდის სწორად დათესვა.

დასაწყისი ნამდვილად კარგი იყო, აი, ბოლო კი ბაბუასა და შვილიშვილს შორის ერთი საქმის სწავლისა არ იყოს, საინტერესოა, ვინ უნდა დაატრენინგოს სამომავლოდ გლეხები სიმინდის დათესვაში, გოროზიამ თუ ბობოხიძემ? მაგრამ მთავარი და საგულისხმო ამაში ის არის, რომ ხელისუფლება კიდევ ფიქრობს, რა გააკეთოს ისეთი, რომ მოსახლეობის გული მოიგოს და თავიანთი მომავალი საარჩევნოდ ვინმე სხვას არ დაუკავშიროს.

ხელისუფლება ბოლო დროს მართლაც საეჭვოდ რომ გააქტიურდა, ფაქტია, სავარაუდოდ, ეს სახელისუფლებო ფაციფუცი ქართულ პოლიტიკაში ბიზნესმენ ივანიშვილის გამოჩენას უკავშირდება. მოკლედ, რაც არ უნდა იყოს, აქამდე გატყავების რეჟიმში მყოფი ხალხი უკვე შემოსვის ეტაპზე გადავიდა.Eეს, რა თქმა უნდა, ორმაგად მომგებიანია. ერთი ის, რომ სააკაშვილისა და ამერიკის ურყევი და სამა-



მიხეილ სააკაშვილი

რადისო მეგობრობის მითი ნელ-ნელა იმსხვრევა და მეორე ის, რომ რეალური ალტერნატივის სახით არსებობის ზღვარზე მყოფმა საზოგადოებამ გააფერისტებულ და ათას პოლიტიკურ პარტიებზე გადამხტარი ოპოზიციონერების გარდა, რეალური ძალა დაინახა, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი — იმედით, ხელისუფლება კი შიშით უყურებს.

# ქართული კომპანიები რუსულ ბაზარზე ხელისუფლების გვერდის ავლით დაბრუნდებიან

შორენა გონგლაძე

**რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშჩენკოს ისევე არ გასჭირვებია რუსული ბაზრიდან ქართული პროდუქციის გამოდევნა, როგორც მისი დაბრუნება. უკვე რამდენიმე თვეა ვრცელდება ინფორმაცია, რომ ონიშჩენკო ქართველ მეწარმეებთან ხელისუფლების გვერდის ავლით აწარმოებს მოლაპარაკებას. ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი განცხადება საქართველოს ხელისუფლების გულზე გახეთქას ემსახურება, ანუ ამით რუსული მხარე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართველ მეწარმეებს სააკაშვილი და მისი პოლიტიკური ინტერესები ნაკლებად აწუხებთ და რომ ისინი რუსეთის მხარესთან ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით ცდილობენ.**



გენადი ონიშჩენკო

პრობლემა ის არის, რომ თუ ეს მართლაც ასეა და ონიშჩენკოს ეს განცხადებები მხოლოდ მის ფანტაზიებს არ ემყარება, სააკაშვილს ამ თემით მანიპულირების შესაძლებლობა ხელიდან ეცლება, რაც მთავარია, ეს მის უძლეველობაზე მითის განეიტრალების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია.

ერთი შეხედვით, ეკონომიკური ურთიერთობების სიმყარე პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიაცაა, თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთ-საქართველოს შორის მიზნების თანხვედრა ერთი მარტივი მიზეზის გამო ვერ მოხდება. ეს არის ორი ქვეყნის ლიდერს შორის პიროვნულ ურთიერთობამდე დაყვანილი და გაპოლიტიზირებული დაპირისპირება, რომელსაც უკვე წლებია ყოველდღიურად ეწირება ქვეყნის ეროვნული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები.

რუსეთის მთავარი სანიტრის, გენადი ონიშჩენკოს მორიგი განცხადება გუშინ გავრცელდა. ონიშჩენკოს მტკიცებით, კომპანია „სარაჯიშვილმა“ ბრენდის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თხოვნით „როსპოტრებნადზორს“ ოფიციალურად მიმართა.

დღის პირველ ნახევარში კომპანიის ხარისხის დირექტორმა დავით აბზიანიძემ გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურა, ხოლო კომპანიის კომერციულმა დირექტორმა გიორგი შერვაშიძემ განაცხადა, რომ „სარაჯიშვილმა“ რუსულ ბაზარზე დაბრუნება ბოლოს 2006 წელს ითხოვა.

მოგვიანებით აღნიშნული ინფორმაციის სისწორე სააგენტო „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა დაადასტურა. ბუბუტეიშვილის განცხადებით, კომპანია „სარაჯიშვილმა“ „როსპოტრებნადზორს“ ბრენდის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თხოვნით პირველად 2006 წელს მიმართა, მეორედ კი დაახლოებით ერთი თვის წინ.

„ჩვენ მიმართვა გავაკეთეთ 2006 წელს, ახლა კიდევ ერთხელ მივმართეთ, დაახლოებით ერთი თვის წინ. მოვიდა პასუხი, რომ გამოგზავნიან ექსპერტებს, ნახავენ წარმოებას. იმ შემთხვევაში, თუ წარმოება დააკმაყოფილებს ელიტური სასმელის მოთხოვნებს, მაშინ რუსულ ბაზარზე დაბრუნების ნებას დაგვრთავენ. თუ გაიხსნება რუსული ბაზარი, კომპანია „სარაჯიშვილი“ მათ ელიტურ სასმელს მიაწვდის“, — განაცხადა ბუბუტეიშვილმა.

—ჩვენ რუსულ მხარეს ვუთხარით — თუ გინდათ ხარისხიანი კონიაკი, შეგვიძლია მოგყიდოთ. ჩემთვის მნიშვნელოვანია ბაზარი. ჩვენი კონიაკები თუ შევა რუსულ ბაზარზე, შევა ელიტური სასმელის სახელით, — განაცხადა ბუბუტეიშვილმა. მისივე თქმით, მათთვის ამ ეტაპზე უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსული მხარე.

რუსეთის დაინტერესება ამ თემით უკვე გასაგებია. ისიც გარკვეულია, რომ კომპანია „სარაჯიშვილის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნებას რუსი ექსპერტების დასკვნა გადაწყვეტს, თუმცა მანამდე ამ ექსპერტების საქართველოში შემოშვება-არშემოშვების საკითხი იქნება ალბათ გადასაწყვეტი. Mმეორე საკითხია, რა რეაგირება მოჰყვება კომპანიის თვითნებურ ქმედებას ხელისუფლების მხრიდან. Dდიდი ვარაუდია იმისა, რომ აღნიშნული საკითხი ზემოთ უკვე შეთანხმებული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მალე ხელისუფლების რეაქციას უნდა ველოდოთ და ეს რეაქციები როგორია და რითიც მთავრდება, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.

# საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა წინასასამართლო სხდომა გაიმართა

2011 წლის 26 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა წინასასამართლო სხდომა, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის და ყაჩაღობის ბრალდების საქმეზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისათვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საქმე არსებითი განხილვის მიზნით გადაეცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემადგენლობას. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომა დაინიშნა 2011 წლის 7 ნოემბერს. ასეთი სახის სასამართლო პროცესი არის პირველი პრეცედენტი ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში და შესაბამისად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, როგორც სასამართლოს რეფორმის, ასევე ქვეყნის დემოკრატული განვითარების პროცესში, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელებაში ერთვება თავად საზოგადოება და მხოლოდ საზოგადოება წყვეტს საკითს ბრალდებულის დამნაშავეობის ან უდანაშაულობის შესახებ.



ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე, მოსამართლე მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით,18 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას არაუმეტეს 100 პირის შემადგენლობით. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი უნდა ფლობდეს სამართლის პროცესის ენას, ცხოვრობდეს ტერიტორიაზე, რომელიც შედის თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადობაში, არ უნდა ჰქონდეს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას. შერჩევის სხდომაზე გამოცხადებულ კანდიდატთაგან, მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით შეირჩევა 12 ნაფიცი მსაჯული და სულ ცოტა 2 სათადარიგო მსაჯული, რომლებიც მონაწილეობენ საქმის არსებით განხილვაში და მიიღებენ გამამართლებელ ან გამამტყუნებელ ვერდიქტს.

თბილისის საქალაქო სასამართლო მომზადებული ხვდება მართმსაჯულების განხორციელების ამ ახალ სისტემას, სასამართლოში ჩატარდა არაერთი იმიტირებული სასამართლო პროცესი და მოსამზადებელი ტრენინგი. თბილისის საქალაქო სასამართლო, ისევე როგორც მთელი საზოგადოება დიდი პასუხისმგებლობითა და ინტერესით ელოდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტს, სადაც გადაწყვეტილებას იღებს ხალხი.

# თემურ შაშიაშვილი: „სკამის შესანარჩუნებლად სააკაშვილი ოჯახის წევრებსაც გაწირავს“

თეა მარხვაიძე

საქართველოში დიდი პოლიტიკური წიოკია. ივანიშვილის გამოჩენამ ნაციონალები სულ გადარია. პრეზიდენტი სააკაშვილი, როგორც ამბობენ, უკვე თავისიანებს დაერია. გავრცელებული ინფორმაციით, სააკაშვილი კობა ნაყოფიასაც უპირებდა დაკავებას, რომლის გამდიდრებაც რუს გენერალ გენერალოვის სახელს უკავშირდება. მოძრაობა „თეთრების“ ლიდერს კარგად ახსოვს, როგორ ცდილობდა ნაყოფია გენერალოვის საქართველოში შემოყვანას.

ვინ ჩაუგდო ქართული ეკონომიკა კაგებეს გენერალს ხელში, რატომ გადაემტერა სააკაშვილი ნაყოფიას, რა პროცესები მიდის ხელისუფლებაში, ამ თემებზე შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**თემურ შაშიაშვილი:**

– ხელისუფლების შიგნით ძალიან მძიმე პროცესები მიდის. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე შეარყევდა ნაციონალებს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეს არ არის მყარი ხელისუფლება, ნაციონალებს შორის კი ურთიერთობები ძალიან მყიფეა. სააკაშვილი არის პიროვნება, რომელიც ყველას და ყველაფერს გაწირავს სკამისთვის.

***– ნაყოფიასაც სკამის გადასარჩენად წირავს?***

– რა თქმა უნდა. სკამისთვის სააკაშვილი საკუთარი ოჯახის წევრებსაც გაწირავს და ქვეყანასაც. ქვეყანა უკვე გაწირული ჰყავს. ამ ფონზე, რა გასაკვირია, თუ ნაყოფია გაწირა. თავად ნაყოფიასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. კარგად მახსოვს, რას აკეთებდა ის მაშინ, როცა მე იმერეთის გუბერნატორი ვიყავი. ის ჩამოდიოდა ქუთაისში და ამბობდა, რომ გენერალოვი უნდა შემოვიდეს ქართულ ეკონომიკაში, რომ ეს შეთანხმებულია ხელმძღვანელობასთან.

***– კონკრეტულად ვისთან არის შეთანხმებულიო, არ ამბობდა?***

– ამბობდა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებაში ყველა საქმის კურსშია და თანახმა არიან.

***– თქვენ არ იყავით თანახმა?***

– ბუნებრივია, არ ვიყავი თანახმა. როგორ შეიძლებოდა გენერალოვის საქართველოში შემოშვება. ეგ არის კაგებეს გენერალი. მე მაშინ ღიად ვთქვი, რომ თუ გენერალოვი შემოვა ქართულ ეკონომიკაში, თანამდებობას დავტოვებ. ვთქვი ისიც, რომ თუ გენერალოვი შემოვიდოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ პოლიტიკური კურსი შეიცვალა და გეზი რუსეთისკენ აიღო.

***– რა წლებზე საუბრობთ, ბატონო თემურ?***

– 2000-2002 წლებზე. მე მაშინ გენერალოვმა შემომითვალა, თქვენ ამ გადაწყვეტილებას ინანებთ, რადგან ჩვენ მაინც შემოვალთო.

***– და მართლაც შემოვიდა.***

– შემოვიდა. საინტერესო ის არის, როდის შემოვიდა. ვარდების რევოლუციამდე ის ქართულ ეკონომიკაში არ ფიგურირებდა. რევოლუციის შემდეგ გენერალოვი გახდა ქართული ეკონომიკის მთავარი ძალა. მთელი ჩვენი საბადოები მის ხელშია. მან ეს ხელისუფლება ბეჭებზე დადო.

***– ნაყოფია საიდან მოხვდა მასთან?***

– მისი ადიუტანტი იყო. ის ცოტა ხნის წინ არაფერს წარმოადგენდა. ახლა, ხომ ხედავთ, რა დღეშია. 2 თვის წინ სააკაშვილმა თქვა, რომ ნაყოფიამ ახალი სტანდარტები დაამკვიდრა ბიზნესში. ეს უკვე სასაცილოც კი აღარ არის. რისი ახალი სტანდარტების დამამკვიდრებელია ნაყოფია. შეიძლება, ახალი სტანდარტი არის


თემურ შაშიაშვილი

ის, რომ მისი შვილი თვეში ხელფასის სახით 300 ათასს ლარს იღებს.

***– ბატონო თემურ, ერთ თვეში 300 ათასი ლარი? ეს ინფორმაცია ზუსტია?***

– ზუსტია. ნაყოფიას შვილი თვეში ამხელა ფულს იღებს.

***– რა თანამდებობა უკავია, ბატონო თემურ, ამისთანა?***

– მადნეულში უკავია დირექტორის თანაშემწის პოსტი. ამხელა ხელფასს ბოლნისის მთელი მოსახლეობა არ იღებს თვეში, მაღაროებში მომუშავე ადამიანებს კი კაპიკებს უხდიან. ეკონომიკის ექსპერტებმა დადეს დასკვნა, რომ რუსულმა კომპანიამ მადნეულიდან 2 მილიარდი დოლარი გაიტანა. წარმოგიდგენიათ, რამხელა მოგება რჩება რუსეთს. რატომ არ უნდა რჩებოდეს ეს საქართველოს. მაგრამ სააკაშვილმა ყველაფერი რუსეთს მისცა. მისცა იმიტომ, რომ რუსულ საქმეს აკეთებს. სიტყვით ლანძღავს რუსეთს, საქმით კი საპირისპიროს ამტკიცებს და არც რცხვენიათ, სხვებს რომ ეძახიან რუსეთის აგენტებს. ამ ქმედებებით სააკაშვილი ისეთ ჩიხში მოექცა, რომ იქიდან ვერასდროს გამოვა. ის უკვე წარსულის პოლიტიკოსია.

***– დარწმუნებული ხართ, რომ სააკაშვილი უკვე წარსულს ჩაბარდა?***

– მას მომავალი არა აქვს. ის გარკვეული პოლიტიკური ძალების პროექტია. ამ შემთხვევაში მე მხედველობაში ქვეყნის გარეთ მოქმედი პოლიტიკური ძალები მყავს. მათ პოზიციების დათმობა არ სურთ, უბრალოდ, უნდათ, რომ საქმე არჩევნებამდე მიიყვანონ, თორემ მათ ჩვენზე მეტად სძულთ სააკაშვილი. ისინი კარგად ხვდებიან, რომ სააკაშვილის დარჩენა მათ პროექტს მოუტანს უბედურებას. ის თავისივე პარტიისათვის არის დიდი უბედურება. მე ადრეც მითქვამს, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ არ ვიბრძვი. მე ვიბრძვი საქართველოსთვის. სააკაშვილი არ არის ფიგურა, ეს ჩვენ შევქმენით, ისევე, როგორც თავის დროზე – შევარდნაძე.

***– მოდით, ისევ ნაყოფიას დავუბრუნდეთ. რატომ შემოსწყრა მას სააკაშვილი?***

– როგორც უკვე გითხარით, ეგ ნაყოფიას კი არა, საკუთარი ოჯახის წევრებსაც არ დაინდობს. ივანიშვილის გამოჩენამ ისე გადარია ეს ხელისუფლება, რომ არაფერი გასაკვირი არ არის.

***– როგორ ფიქრობთ, უკავშირდება თუ არა ნაყოფიასთან გადამტერება იმას, რომ მას რუსებთან აქვს კავშირი?***

– რუსებთან მასაც აქვს კავშირი. აქ მთავარი „დამნაშავე“ ივანიშვილია. სააკაშვილი თავის გადარჩენაზე ფიქრობს და ყველას გაწირავს. ასეთი რუსეთთან „მებრძოლი“, როგორიც სააკაშვილია, აწყობს რუსეთის ხელისუფლებას. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ ის აკეთებს რუსულ საქმეს.

***– არგუმენტები გაქვთ ამის დასამტკიცებლად?***

– რამდენიც გინდათ. დადასტურებულია, რომ ყმაწვილი სააკაშვილი მსახურობდა საბჭოთა კაგებეს ჯარში. ანალოგიურ სამსახურში ადამიანები შემთხვევით არ ხვდებოდნენ. დადასტურებულია, რომ საქართველოს ძირითადი ბუნებრივი სიმდიდრე რუსეთის ხელშია. ამის გადაცემა რუსებისთვის ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა. ენერგომატარებლებსაც რუსეთი აკონტროლებს. დადასტურებულია, რომ რუსეთის ხელისუფლების კარზე მიღებული ქართველი ბიზნესმენები სააკაშვილს ემსახურებიან.

***– მხედველობაში ვინ გყავთ?***

– ძმები შარანგიები, ძმები ფიფიები, ნაყოფია, სიჭინავა. ესენი სააკაშვილს ხელგაშლილად ემსახურებიან. ესენი ყველანი რუსეთის კარზე გამდიდრდნენ. ბენდუქიძეზე არაფერს ვამბობ. დადასტურებულია ისიც, რომ ვარდების რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვს უკავშირდება. სწორედ მან წაიყვანა ჯერ შევარდნაძე, შემდეგ ასლან აბაშიძე. ამის მეტი რაღა არგუმენტია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ხელისუფლება რუსეთს ემსახურება. რუსეთი რომ არ იყოს, რა ეშველებოდათ ამ პოლიტიკოსებს. ამ ფონზე ცოტა უხერხულია, როცა ნაციონალები ივანიშვილის რუსეთში ნაშოვნ მილიონებზე საუბრობენ.

***– ივანიშვილი თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ. მასთან თანამშრომლობას ხომ არ აპირებთ?***

– მე და ივანიშვილს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არა გვაქვს.

***– რატომ?***

– რა მნიშვნელობა აქვს, რატომ. ჩვენ არ ვართ ერთმანეთთან კარგად. ამის მიუხედავად, მე პოლიტიკაში მის გამოჩენას მივესალმები, იმიტომ რომ ვიცი, ამ ადამიანს საქართველოსთვის ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. მას უკვე ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. მას უნდა, რომ საქართველო დემოკრატიულ ქვეყანად აქციოს.

***– ხელისუფლება მიიჩნევს, რომ საქართველო ისედაც დემოკრატიული ქვეყანაა.***

– რას ნიშნავს დემოკრატიული ქვეყანა? სად არის აქ დემოკრატია! თავი დავანებოთ იმას, რომ აქ თავისუფლად აზრის გამოთქმა შეუძლებელია. როგორ შეიძლება, ქვეყანა დემოკრატიულად ჩაითვალოს, სადაც ერთი და იგივე ხალხი უკვე 19 წელია ქვეყნის სათავეში.

***– ვისზე საუბრობთ?***

– გიორგი ბარამიძეზე, ხათუნა გოგორიშვილზე, მიშა მაჭავარიანზე. ეს ხალხი 1992 წლიდან არის ხელისუფლების სათავეში. თავად სააკაშვილიც 1995 წლიდან აზის საქართველოს თავზე. არ შეიძლება, ამდენი ხანი ერთი და იგივე ხალხი მართავდეს ქვეყანას. საქართველოში მოქკავშირისა და აღორძინების მმართველობის ხანა უნდა დასრულდეს. საქართველოს პარლამენტში კი დღეს მხოლოდ აღორძინება და მოქკავშირია.

# ლევან ვარშალომიძემ მარტოხელა დედები, მოხუცები და ინვალიდები ქუჩაში გამოყარა

## რატომ დაიხურა აჭარაში ერთადერთი საქველმოქმედო სახლი

შალვა ჯოხაძე

**„100 უფასო სასადილოს“ პროექტით თავმომწონე ხელისუფლებას თავისი ქველმოქმედება ნელ-ნელა ავიწყდება. სასადილოების რიცხვი ასამდე არც კი ასულა, მათი ეტაპობრივი დახურვა ისე დაიწყო. უფასო სასადილოები უკვე თითებზე შეიძლება ჩამოთვალო. ახლა კი რეგიონებში სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების დახურვაც დაიწყო.**

ჩვენი ინფორმაციით, ნაციონალები ჯერ კიდევ შემორჩენილ უფასო სასადილოებში ყოველდღიურად საჭირო 150-200 ლარის საკვების შესყიდვას ადგილობრივ ბიზნესმენებს ავალებენ. უფასო სასადილოების მენიუ, როგორც წესი, ასეთი ყოფილა: ორშაბათი – 400 გრ. ბორშჩი, 200 გრ. მაკარონი ფარშით და 200 გრ. ხილის კომპოტი; სამშაბათი – 400 გრ. ბრინჯის წვნიანი კვერცხით, 250 გრ. მოხარშული თევზი კარტოფილის პიურეთი, 200 გრ. ხილის წვენი; ოთხშაბათი – იმავე რაოდენობის წიწიბურას წვნიანი, ლობიო და ხილის კომპოტი;

ხუთშაბათი – ხორცის ხარჩო და ბრინჯის ფლავი; პარასკევი – სოკოს წვნიანი, სოიოს სოუსი და ხილის კომპოტი; შაბათი – ჩიხირთმა, კომბოსტოს სალიანკა; კვირა – მაკარონის წვნიანი, მოხარშული კვერცხი და ხილის კომპოტი.

ასე კვებავენ უფასო სასადილოების მომხმარებლებს და იმედია, რომ ამ გაჭირვებულ ადამიანებს ასეთი მწირი მენიუდან მაინც არ „უტეხავენ“ ისედაც მიზერულ თანხებს. აი, სერიოზული ფულის დაზოგვა აჭარის მთავრობამ მოინდომა. აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ უსახლკარო ადამიანები, მათ შორის მარტოხელა დედები, მოხუცები და ინვალიდები აიძულა, აჭარაში ერთადერთი საქველმოქმედო სახლი დაეტოვებინათ, – ამის შესახებ ინფორმაციას „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ავრცელებს. ბათუმის საქველმოქმედო სახლი წმინდა ფრანჩესკასა და წმინდა ნინოს სახელობის საქველმოქმედო ფონდმა ჯერ კიდევ 1995 წელს დააარსა. იმავე წელს, სპეციალური განკარგულებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმდროინდელმა ხელმძღვანელმა ფონდს საქველმოქმედო სახლისთვის გამოყოფილი შენობა პირად სარგებლობაში გადასცა. 2006 წელს აჭარის ახალმა მთავრობამ აბაშიძის განკარგულება უკანონოდ ცნო და ამ სახლით მოსარგებლე ადამიანები აიძულა, შენობა დაეცალათ. მოგვიანებით ახალმა მფლობელმა, რომლის ვინაობა უცნობია, სახლი დაანგრია.


ლევან ვარშალომიძე

„ჩვენ არ ვეხებით აჭარის მთავრობის გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს, თუმცა გვჯერა, რომ ბათუმის საქველმოქმედო სახლის საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის. მიგვაჩნია, რომ მთავრობას შესაბამისი ზომები უნდა მიეღო, რათა სათნოების სახლს საქველმოქმედო საქმიანობა გაეგრძელებინა. საქველმოქმედო სახლისთვის თავდაპირველად მიცემული დაპირება ახალი შენობის გამოყოფასთან დაკავშირებით კვლავ დაპირებად რჩება“, – აცხადებენ საერთაშორისო გამჭვირვალობაში.

სახლის ხელმძღვანელი სვეტლანა კუდბა ეთნიკურად აფხაზია და სათნოების სახლში აფხაზური ენის გაკვეთილებსაც ატარებდა. სახლის დახურვის დროისათვის ამ გაკვეთილებს 25 ადამიანი ესწრებოდა. აფხაზური ენის კურსების გარდა, სათნოების სახლში უფასო სასადილოც იყო გახსნილი და სახლი მარტოხელა დედებსაც იფარებდა.

„არ ვიცი, რა გავაკეთო. ამ წუთში ქუჩაში ვარ უმწეო, პატარა ბავშვით მარტოხელა დედა“, – ამბობს საქველმოქმედო სახლის ყოფილი მობინადრე ინგა ბლადაძე.

„ძირითადად შემოწირულობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების წყალობით ვარსებობთ, მაგრამ, იმის გამო, რომ შენობა აღარ გვაქვს, ამ დახმარებას ველარ მივიღებთ“, – აცხადებს ფონდის ხელმძღვანელი.

სვეტლანა კუდბამ 2010 წლის მარტში ღია წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მასზე პასუხი კუდბას დღემდე არ მიუღია. გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან:

„მოგახსენებთ, რომ ბათუმში, ზვიად გამსახურდიას ?42-ში მდებარე „სათნოების სასახლე“ 1995 წლიდან ფუნქციონირებს. სასახლეში მოქმედებს 100 ადამიანზე გათვლილი ერთი უფასო სასადილო, თანამედროვე სტანდარტის დედათა და ბავშვთა თავშესაფარი და გზასაცდენილ მოზარდთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი დარბაზი. ბათუმის სათნოების სასახლეში ყოველდღიურად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, ინვალიდი, უსახლკაროდ დარჩენილი 100 ადამიანი იკვებება. გარდა ამისა, ფონდი დაარსების დღიდან სამართალდამცავ ორგანოებთან და ბავშვთა სახლებთან თანამშრომლობს მოზარდი ბავშვების მშობლების მოძიებისა და, პირიქით, ოჯახებიდან გამოქცეული მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახში დაბრუნების მიზნით. დღემდე ფონდში არსებულ ჟურნალში 35 ფაქტია დაფიქსირებული და შექმნილია იმ ბავშვების ისტორია, რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთის ქვეყნებშიც დაუბრუნდნენ საკუთარ ოჯახებს. მოგეხსენებათ, ბათუმი საპორტო ქალაქია და ამ ქალაქში უამრავი ეროვნების ადამიანი ჩამოდის საცხოვრებლად თუ სტუმრად. არსებობს დოკუმენტური ჩანაწერები, რამდენ უცხოელ გაჭირვებულ ადამიანს დაეხმარა ფონდი. 15 წლის განმავლობაში ძველ ბათუმში მდებარე სათნოების სასახლე ერთგვარი სავიზიტო ბარათი და დასტური გახდა იმისა, რომ ამ ქალაქში გაჭირვებულები ახსოვთ და ეხმარებიან.

ბატონო პრეზიდენტო, უმორჩილესად მოგმართავთ თხოვნით, თქვენ მიერ აღიარებულ პრიორიტეტებს ნუ გადაუხვევთ და ნუ შექმნით პრეცედენტს, რომ ბათუმის სათნოების სასახლე, რომელიც ყოველდღიურად გაჭირვებულებსა და უსახლკაროებს ეხმარება და ლუკმა-პურს აწვდის, შენობის ფასადის რეკონსტრუქციის მოტივით დაიხუროს“.

„მიგვაჩნია, რომ აჭარის მთავრობამ უნდა გააანალიზოს სათნოების სახლთან დაკავშირებული ქმედებების მოსალოდნელი შედეგები, რადგან მისი საქმიანობა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის. ვფიქრობთ, ამგვარ წამოწყებას ადგილობრივმა მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს, რადგანაც სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი და ზრუნვას მოკლებული ადამიანების დახმარება მათი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს“, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები.

# გიგი უგულავას ხალხმა შიფერი დაასხურა და ხალხი დააზარალა



შალვა ჯოხაძე

ალმაშენებლის გამზირსა და მარჯანიშვილის ქუჩაზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებას პირი არ უჩანს. შემოდგომის ამინდები კი აქ დამატებით პრობლემებს ქმნის. შემოდგომაზე წვიმიანი დღეები რომ ხშირია და შესაბამისად უნდა იმოქმედონ, ალბათ, მერიის მიერ დაქირავებული სამშენებლო ფირმების წარმომადგენლებმა არ იციან.

სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ფასადური პოლიტიკა ამ რეაბილიტაციის პროექტსაც თან ახლავს. გიგი უგულავა თავს იწონებს, რომ ლონდონური უბნის, სოჰოს ანალოგს აკეთებს საქართველოში, მაგრამ ასეთი დაუდევარი მუშაობით ვენეციის ქუჩების მსგავსს თუ მიიღებს.

საქმე ისაა, რომ მარჯანიშვილის მოედანზე, ალმაშენებლის 83-ში ერთ ადგილას მუშებმა სახურავი გადახდილი დატოვეს. არადა, დედაქალაქში გაწვიმდა. შედეგად, მე-5 სართულზე ჭერი მთლიანად ჩაირეცხა და მე-4 სართულიც ჩაიყოლა.

— შევშფოთდით, შესაბამის სამსახურებში რეკვა დავიწყეთ. ჯერ პოლიციელები მოვიდნენ, შემდეგ — მერიის წარმომადგენელი. დახმარებას დაგვპირდნენ...

როგორც გაირკვა, დაუდევარ მუშებს საწვიმარი მილი დაუგმანავთ და ამიტომაც წყალი პირდაპირ სახლში ასხამდა! ამის გამო ჭერი ჩამოინგრა.

მერიის თანამშრომლები საკმაოდ ოპერატიულად ხელმეორედაც მოვიდნენ და ბრიგადა მოიყვანეს. სარემონტო სამუშაო უკვე დაიწყეს, თუმცა, უფრო ჭკვიანურად რომ მოქცეულიყვნენ ისინი, ვინც სახლის ფასადზე ზრუნავდა, მაშინ საქმე ასე არ გართულდებოდა. არც თვითონ შეექმნებოდათ პრობლემა და არც ჩვენ დაგვაზარალებდნენ. თუ აკეთებ, მადლს მარილი მოაყარე და თუ არ იცი, როგორ გააკეთო, მაშინ დაანებე თავი ისედაც უამრავი საზრუნავის მქონე ხალხს, — გვითხრეს დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლებმა.

მოკლედ, გიგი უგულავა სანამ იმაზე ოცნებობს, რომ ალმაშენებლის გამზირზე ხალხი ფაეტონებით ისეირნებს და შემდეგ ევროპულ კაფეში ყავას მოწრუპავს, მანამდე კარგად შეარჩიოს ის სამშენებლო ფირმები, რომლებიც ასეთ მასშტაბურ სამუშაოს სათანადო პროფესიონალიზმით მიუდგებიან.

# პატიმრებს მორგში გამოკეტვით ემუქრებიან

**— ქსნის მე-19 საპატიმრო დაწესებულებაში პატიმარი რუდიკ ოვაკიმიანი ციხის ადმინისტრაციას ისევ ძალადობაში ადანაშაულებს, — ამ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ცენტრი ავრცელებს. აღსანიშნავია, რომ ამ პატიმარს მუდმივად დევნიან, ციხის ადმინისტრაცია მას მორგში გამოკეტვითაც კი დაემუქრა.**



შალვა ჯოხაძე

19 ოქტომბერს პატიმარი რუდიკ ოვაკიმიანი მისმა ადვოკატმა, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო ანდრიაშვილმა ინახულა. ადვოკატის თქმით, ოვაკიმიანს ფიზიკური ზეწოლის კვალი ემჩნევა. როგორც პატიმარმა ადვოკატს უთხრა, ის სამედიცინო ნაწილში დაიბარეს, სადაც დაწესებულების ფსიქიატრმა განუცხადა, რომ ფსიქოტროპული წამლების — სონორექსისა და ოპტიმალის მიღება აღარ ეკუთვნოდა. პატიმარმა მას სთხოვა, მედიკამენტების შეწყვეტის მიზეზი აეხსნა, თუმცა ექიმმა უთხრა, რომ ამას „შინაგანი რწმენით" აკეთებდა და პატიმრის მხრიდან ზედმეტი კითხვების დასმა საჭირო არ იყო.

ნინო ანდრიაშვილმა პატიმარს ახსნა-განმარტება ჩამოართვა, სადაც ოვაკიმიანი წერს: „მე განვაცხადე, რომ ადვოკატის მეშვეობით გავარკვევდი, რამდენად სწორი იყო ფსიქიატრის დანიშნულება. ოთახიდან გამოსვლისას დაწესებულების ხელმძღვანელმა ბაჩო როდონაიამ ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა სახეში, კერძოდ — მარჯვენა თვალთან, აგრეთვე მარცხენა ქვედა კიდურზე. წიხლი მომხვდა აგრეთვე მარჯვენა გვერდში. თუმცა, არ ვიცი, ვინ დამარტყა. ამის შემდეგ მე მაშინვე ჩამოვედი ქვემოთ და დავუკავშირდი ჩემს ადვოკატ ნინო ანდრიაშვილს".

ანდრიაშვილის თქმით, პატიმარს მუდმივად ემუქრებიან. ადვოკატთან საუბრისას მან განაცხადა, რომ ადმინისტრაციამ ურჩია, მომხდარ ფაქტზე საჩივარი არ დაეწერა, რაზეც ოვაკიმიანმა უარი განაცხადა. ამას მოჰყვა მუქარა: „რაც მოხდება, შენს თავს დააბრალე".

ნინო ანდრიაშვილმა პატიმრის მიმართ განხორციელებულ ზეწოლასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ პროკურატურას წერილი მისწერა, თან რუდიკ ოვაკიმიანის ახსნა-განმარტება დაურთო. ადვოკატმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და სათანადო რეაგირება მოითხოვა. ჯერჯერობით, წერილს რეაგირება არ მოჰყოლია.

პატიმარ რუდიკ ოვაკიმიანზე განხორციელებული ძალადობის ფაქტები ნინო ანდრიაშვილმა ადრეც არაერთხელ გაახმაურა. მაგალითად, ერთი თვის წინ თბილისის №8 სამკურნალო დაწესებულებაში მყოფ ოვაკიმიანს მორგში გადაყვანით ემუქრებოდნენ. ნინო ანდრიაშვილი რამდენიმე წელია, მსჯავრდებულ რუდიკ ოვაკიმიანის უფლებებს იცავს და მისი წამების ფაქტებზე ღიად საუბრობს.

ციხის ადმინისტრაციის გულგრილობისა და უყურადღებობის გამო მსჯავრდებულს ტუბერკულოზი გაურთულდა და მისი სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა გახდა საჭირო. თუმცა, როდესაც იქ იმყოფებოდა, მის ჯანმრთელობას სათანადო ყურადღება მაინც არ ექცეოდა. მეტიც, მუდმივი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა.

**ნინო ანდრიაშვილი:**

— პატიმრის შევიწროება სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის დღიდანვე დაიწყო. მსჯავრდებული ერთ ასეთ ფაქტზე მესაუბრა: აგვისტოს შუა რიცხვებში მან თავი ძალიან ცუდად იგრძნო. ერთ დღეს მასთან ექთანი წნევის გასაზომად იყო შესული. ამ დროს შევიდა დაწესებულების უსაფრთხოების უფროსი გიორგი ავსაჯანაშვილი, რომელმაც ექთანს სთხოვა, მსჯავრდებულის ოთახი დაეტოვებინა, რადგან პატიმარი მოვლასა და მზრუნველობას არ საჭიროებდა. უსაფრთხოების უფროსმა ოვაკიმიანს ბარათით, ტელეფონით, აბანოთი სარგებლობის უფლება შეუწყვიტა და სუფთა ჰაერზე გასეირნებაც აუკრძალა.

„მიწერ საჩივრებს? წერე! აქედან მხოლოდ მორგის საშუალებით გააღწევ", — დაემუქრა ავსაჯანაშვილი პატიმარს.

ამის შემდეგ მსჯავრდებული ამზადებს საჩივრებს სხვადასხვა სტრუქტურისთვის — სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრისა და სახალხო დამცველისთვის. თუმცა, მას არც ერთი სარჩელის გაგზავნის უფლება არ მისცეს, რადგან, გავრცელებული პრაქტიკით, ამ დაწესებულებიდან პატიმართა საჩივრები არ იგზავნება. მე როცა მოვუსმინე პატიმარს, გადავწყვიტე, მისთვის ჩამომერთმია ახსნა-განმარტება. ამისათვის ფურცელი და კალამი მოვითხოვე, რაზეც დაწესებულებამ არც გადაჭრით უარი განმიცხადა, არც ეს ნივთები გადმომცა. ვიდრე პატიმართან ერთად სპეციალურ ოთახში ვიმყოფებოდი, სადაც, როგორც წესი, ადვოკატი და მისი დაცვის ქვეშ მყოფი ხვდებიან ერთმანეთს, ყოველ ხუთ წუთში ერთხელ კარი იღებოდა და დაწესებულების თანამშრომელი გვამოწმებდა. ამის გამო მე, როგორც ადვოკატმა, თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და ერთ-ერთს ამის შესახებ ვუთხარი კიდეც. მისგან კი საკმაოდ უხეში პასუხი მივიღე: „იცი, რას გეტყვი? მე როცა მინდა და რამდენჯერაც მინდა, კარს შემოვაღებ და შენ ამას ვერ დამიშლი!" ამის შემდეგ ჩვენ მოგვთხოვეს, პაემნების ოთახში გადავსულიყავით, რაც ჩემთვის წარმოუდგენელი შემთხვევა იყო. მიზეზად კი დაასახელეს, რომ ამ ოთახში მსჯავრდებულს სხვა ადვოკატი ხვდებოდა. თუმცა, დაზუსტებით ვიცი, რომ იმ დღეს დაწესებულებაში შესვლის საშვი ჩემ გარდა სხვა ადვოკატზე არ გაცემულა. ფაქტობრივად, არ მაძლევდნენ საშუალებას, პატიმარს გავსაუბრებოდი და მისგან წერილობითი ახსნა-განმარტება მიმეღო.

მეორე დღეს, 31 აგვისტოს, მე უკვე კალმითა და ფურცლით ვესტუმრე სამკურნალო დაწესებულებას. პატიმარს ახსნა-განმარტება დავაწერინე. ამის შემდეგ ისევ გვაიძულეს სხვა, ამჯერად სამორიგეო ოთახში გადავსულიყავით, თუმცა რატომ, მიზეზი ჩემთვის გაურკვეველია. ახსნა-განმარტების გამოტანის დროსაც პრობლემები შემექმნა. ჩემი ჩხრეკის აუცილებლობა გახდა საჭირო, მაშინ როცა ადვოკატს დაწესებულებიდან გასვლისას არასდროს ჩხრეკენ. გამჩხრიკეს, შემდეგ ჩემს სამუშაო მასალებს გადახედეს და რუდიკ ოვაკიმიანის ახსნა-განმარტება ჩამომართვეს. რა თქმა უნდა, ვიკითხე, რატომ აკეთებდნენ ამას. პასუხი კი მხოლოდ ის იყო, რომ ახსნა-განმარტების გატანის უფლება არ მქონდა. პრობლემის შექმნის შემდეგ ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტ ეკა ქობესაშვილს დავურეკე და ვთხოვე, მომხდარი ფაქტი უსაფრთხოების დეპარტამენტისთვის შეეტყობინებინა. თუმცა, დეპარტამენტისგან რეაგირება არ მომხდარა. ამის შემდეგ სასჯელაღსრულების სამინისტროში დავრეკეთ, სადაც მომხდარით დაინტერესდნენ და სამინისტროს ცხელ ხაზზე გადაგვრთეს. თუმცა არც მათგან მიმიღია საგულისხმო პასუხი. ამ ყველაფრით გაღიზიანებულმა პატიმრის ახსნა-განმარტება გადავხიე და სწორედ ამ დროს შემოვიდა ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი, რომელმაც მითხრა, რომ მქონდა ახსნა-განმარტების გატანის უფლება. გავოცდი. მას შემდეგ დამრთეს დოკუმენტის გატანის ნება, რაც მე ეს დოკუმენტი დავხიე. შემდეგ დახეული ქაღალდის გამოტანა მოვინდომე. ვიფიქრე, შევაერთებ და გამოვიყენებ-მეთქი, მაგრამ ახლა უკვე დახეული ქაღალდები აღარ გამომატანინეს. ეს იყო მიზანმიმართული ქმედება, რომ მე არ შემძლებოდა პატიმრის ახსნა-განმარტების დაწესებულების გარეთ გამოტანა.

# საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის პეტრე ცისკარიშვილის მტკიცებით, საქართველო ნატოს წევრი აუცილებლად გახდება.

როგორც ნატოს ოფიციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის საქართველოში ვიზიტის შეფასებისას ცისკარიშვილმა განაცხადა, საქართველოს ნატოში გაწევრიანება მხოლოდ დროის და იმ რეფორმების მიმდინარეობის საკითხია, რომელიც საქართველოში ხორციელდება.

მისი თქმით, საქართველოს უმრავლესობის წევრების განწყობა ცნობილია, მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს სურვილი აქვს, რომ ევროატლანტიკური ოჯახის წევრი იყოს.

— ჩვენი კოლეგების, მათ შორის აპატურაის ამოცანა არის, რომ შეაფასოს საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესები, ის დემოკრატიული, სამხედრო რეფორმები, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. შესაბამისად, მიიღონ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით თუ რა ვადებში და როდის მოხდება საქართველოს გაწევრიანება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში. საქართველო მყარად დგას ამ გზაზე და თანამშრომლობს პარტნიორებთან ნატოში გაწევრიანების მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის მხოლოდ დროის საკითხი. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ჩვენი კოლეგები ბრიუსელიდან ჩამობრძანდებიან, ისინი ბოლო წლების განმავლობაში ყოველთვის აფიქსირებენ, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ეს არის მხოლოდ დროის საკითხი და იმ რეფორმების მიმდინარეობის საკითხი, რომელიც საქართველოში ხორციელდება, — განაცხადა ცისკარიშვილმა.

პრაიმ-ნიუსი

# ახმეტელ ოპოზიციონერს ივანიშვილის მხარდაჭერის გამო სდევნიან

## „მეშინია, ჩემს შვილს ნარკოტიკი ან იარაღი არ ჩაუდონ"

თეა მარხვაიძე

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახმეტაში ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ჯგუფი შეიქმნა. ამ ჯგუფს მხარდაჭერა რესპუბლიკური პარტიის ახმეტის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზაქარია ქინქლაძემაც გამოუცხადა.

ეს უკანასკნელი ახმეტის საკრებულოს წევრი გახლავთ.

მას არაერთი მწვავე განცხადება აქვს გაკეთებული. ხელისუფლებაც არაერთხელ გამოუყვანია წყობილებიდან. მაგრამ ახლა ნამეტანი გამოვიდნენ ქვეყნის მმართველები წყობილებიდან.

— ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადების გავრცელების გამო, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ზაქარია ქინქლაძეს სამეწარმეო საქმიანობისთვის ნაქირავები ფართის დაცლა მოსთხოვეს. განცხადების გავრცელებიდან მეორე დღეს სამსახურიდან გაათავისუფლეს მისი შვილი ლევან ქინქლაძე, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება ქინქლაძემ 24 ოქტომბერს გააკეთა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, იმავე საღამოს, მას სახლში იმ ფართის მეპატრონის შვილი ესტუმრა, სადაც ქინქლაძეების ოჯახს საკანცელარიო მაღაზია ჰქონდა განთავსებული.

— ფართის მეპატრონის შვილი გია ქისიშვილი საპატრულო პოლიციის თანამშრომელია. ფართი იჯარით მაქვს აღებული ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე 2016 წლამდე. მიუხედავად ამისა, 24 ოქტომბერს, საღამოს, გია




ზაქარია ქინქლაძე

ქისიშვილი ჩემთან სახლში მოვიდა და მაღაზიის დაცლა მომთხოვა. ვატყობდი, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო. ვუთხარი, შენს მდგომარეობაში შევდივარ და რადგან მაგათ უნდათ, რომ მე შემოსავლის გარეშე დამტოვონ და ამით შემაშინონ, მაღაზიას დავკეტავ, ალბათ, ამით დაკმაყოფილდებიან მეთქი. მეორე დღეს, დილით, ქისიშვილი მაღაზიასთან დამხვდა და მითხრა, ფართი სასწრაფოდ დამეცალა. მაღაზიის დაცლაზე დავთანხმდი, რადგან ამას სხვა რალაცეებიც დაერთო. ჩემი შვილი ლევან ქინქლაძე, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს კახეთის საკოორდინაციო ცენტრში მუშაობდა და 24 ოქტომბრიდან შვებულებაში იმყოფებოდა, 25-ში, დილით სამსახურში დაიბარეს, 15 წუთში ერთხელ ურეკავდნენ. საკოორდინაციო ცენტრის უფროსის ლევან ახალაურის მოადგილემ თეონა ქალდანმა მას სამსახურიდან წასვლაზე განცხადების დაწერა მოსთხოვა. მიზეზი, რის გამოც განცხადება უნდა დაეწერა, არ უთხრეს. ჩემი მეუღლე ახმეტის მეორე საჯარო სკოლაში მუშაობს, მაგრამ დღეს სამსახურში აღარ წავიდა, ავად გახდა. იცის, რომ გაათავისუფლებენ, — განუცხადა ზაქარია ქინქლაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ზაქარია ქინქლაძე არ გამორიცხავს, რომ მასსა და მისი ოჯახის წევრებზე ზეწოლა სხვა ფორმითაც გაგრძელდეს. ამიტომ, ის აპირებს რეაგირებისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებს მიმართოს.

— ერთხელ უკვე დამაპატიმრეს. 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ციხეში 4 თვით გამომკეტეს იმ ბრალდებით, რომ თურმე ჩემ მიერ დაფუძნებული სამსახური 2 წელიწადში 130 ლარით ვაზარალე. პატიმრობაში ვიყავი, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მიმეღო. ახლა კიდევ რას გააკეთებენ, არ ვიცი. საფრთხე ჩემი ოჯახის წევრებსაც ემუქრებათ. არ არის გამორიცხული მათ ნარკოტიკი ან იარაღი ჩაუდონ, — აღნიშნა ქინქლაძემ.

იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით ოპოზიცია და უფლებათადამცველები სათანადო რეაგირებას მოახდენენ. კარგი იქნება თუ რეაქცია ახმეტის მოსახლეობასაც ექნება. რადგანაც ხვალ მის მდგომარეობაში ნებისმიერი მათგანი შეიძლება აღმოჩნდეს. და კიდევ ერთი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დუბაიში საგულაოდ და სავაჭროდ რომ დადიოდა, ზაქარია ქინქლაძე თავის მეგობრებთან ერთად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა.

ამის გარდა მისი დიდი დამსახურება იყო, პანკისში ვითარება რომ განიმუხტა. შეიძლება მავანს აღარ ახსოვს მაგრამ 10-12 წლის წინ პანკისში საშინელებები ხდებოდა.

# სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო“

TBC BANK

# საქართველოს მინიონი ეწვია

ნათია ხურცილავა

საქართველოში სამდღიანი ვიზიტით ევროსაბჭოში საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ მინიონი იმყოფება.

ევროსაბჭოში საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა საქართველოში მაღალი დონის შეხვედრები გამართა.

დიპლომატმა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში შეხვედრები გამართა.

პარლამენტში შეხვედრები გაიმართა როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლებთან.

საფრანგეთში ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა შეხვედრა გამართა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან.

ჟან-კლოდ მინიონს, საკანონმდებლო ორგანოს გარდა, შეხვედრები ჰქონდა აღმასრულებელი უწყების წარმომადგენლებთან და ხელმძღვანელებთან.

ჟან-კლოდ მინიონმა შეხვედრა გამართა სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილთან, აგრეთვე საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიასთან და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს თორნიკე გორდაძესთან.

ევროსაბჭოში საფრანგეთის დელეგაციის ხელმძღვანელი თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს და საქართველოს 28 ოქტომბერს დატოვებს.

— საუბარი იყო პოლიტიკურ საკითხებზე, უსაფრთხოების, ეკონომიკურ და სექტორალურ საკითხებზე, გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების საკითხში, ასევე ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ თორნიკე გორდაძემ.


ჟან-კლოდ მინიონი

# ოპოზიცია ვენეციის დასკვნის მოლოდინშია

ნათია ხურცილავა

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ოპოზიციამ და ხელისუფლებამ დიდი ბრძოლების შემდეგ გადაწყვიტა, ერთობლივად ემუშავათ და მოქმედი საარჩევნო კოდექსი გაეუმჯობესებინათ.

როგორც აღვნიშნეთ, დიდი ბრძოლების, პოლიტიკურად, მაგრამ საზეიმოდ შეყრისა და ლანძღვა-გინებით გაყრის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ბევრმა პოლიტიკურმა თუ არაპოლიტიკურმა წყალმა ჩაიარა, გაირკვა, რომ ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ „გააცურა“ ოპოზიცია, თანაც ისე, რომ დაცურების სიმწარეც კი ვერ გააცნობიერეს, ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც „რვიანიდან“ ნელ-ნელა ქვეითდებოდა ოპოზიციის მეორე ნაწილს ხელისუფლებასთან გარიგებაში ადანაშაულებდა. მათი ბრალდებით ოპოზიციის ამ ნაწილმა იმდენი ქნა, რომ კარგა ხნით ადრე შეთანხმებული ვიდეოთვალის არსებობაც კი ამოიღო და ხელისუფლებამ ცვლილებების ისეთი ვარიანტი მოამზადა, რომელიც არც კი შეუთანხმებია თითქოს თანამშრომლობაში მყოფ ოპოზიციასთან.

ხელისუფლების მიერ „გაფუჭებული“ საქმის მოგვარება ერთ-ერთმა მთავარმა მომლაპარაკებელმა მამუკა კაციტაძემ ვენეციის კომისიას გადაულოცა. ვენეციის კომისია კი, თავის მხრივ, იძლევა რეკომენდაციებს და მისი გათვალისწინება ჩვენი ხელისუფლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

საქართველოში ვენეციის კომისიის ექსპერტები იმყოფებიან. ვენეციის კომისია უკვე გაეცნო ოპოზიციისა და ხელისუფლების მიერ გადაგზავნილ ვარიანტებს.

ოპოზიციას იმედი აქვს, რომ მათ მიერ დასახელებულ შენიშვნებს ვენეციის კომისია გაითვალისწინებს.

ვენეციის კომისიის ექსპერტებმა სამუშაო შეხვედრა უკვე გამართეს. ამ შეხვედრაზე პარტიებმა ვენეციის კომისიას საკუთარი ხედვები წარუდგინეს.

ედპ-ის წევრმა გოგა გოგნიაშვილმა დაადასტურა ის შეთანხმებები, რომლებიც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მმართველ პარტიასთან დაიდო და ასევე აღნიშნა იმ საკითხების შესახებაც, რომლებსაც ოპოზიცია არ ეთანხმება.

შეუთანხმებელ საკითხთა ნუსხა არც ისე ცოტაა. შეუთანხმებელია საარჩევნო სიების ფორმირების წესი, უბნებიდან ვიდეოთვალის განთავსების შესაძლებლობის, ასევე მარკირების გაუქმება და ა.შ.

როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობაც.

ოპოზიციას მსჯავრდებულებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება ციხეებში არსებული ვითარების გამო მართებულად არ მიაჩნია.

ასევე მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების არჩევნებში შესაძლო მონაწილეობის საკითხი, რომელზეც ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ვენეციის კომისიის ექსპერტებთან შეხვედრისას იმსჯელეს.

როგორც ექსპერტებისა და არჩევნების საკითხზე მომუშავე სარედაქციო ჯგუფის შეხვედრის დასრულების შემდეგ ახლების ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა, მან ექსპერტებს აუხსნა, რომ დაწყებული გაეროთი, გაგრძელებული ევროკავშირითა და ევროსაბჭოთი, დამთავრებული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებით, თუ რაიმე რეკომენდაცია და შენიშვნა კეთდება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ, ეს პენიტენციალურ სისტემას ეხება, — ამბობს კაციტაძე.

კაციტაძის თქმით, ადვილი წარმოსადგენია, ციხეებში არსებული ვითარების გათვალისწინებით, რა მოხდება მაშინ, თუ დაბალი სასჯელის მქონე პირები არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ.

—მე ვუთხარი, წარმოიდგინეთ, რა მოხდება და რა წნეხი ელოდებათ ამ ადამიანებს ხელისუფლების მხრიდან, როდესაც ისინი არჩევნების გარეშეც წნეხის ქვეშ არიან, — განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

მისივე თქმით, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება შეწყვეტს ხელისუფლებისთვის პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებზე შენიშვნების მიცემას, მაშინ შეიძლება დაიწყოს საუბარი მსჯავრდებულებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებაზე.

რა დასკვნას მოამზადებს ვენეციის კომისია და გაითვალისწინებს თუ არა ოპოზიციის შენიშვნებს, ეს დასკვნის დადების შემდეგ გახდება ნათელი.

# ივანიშვილს პარტიების დაფინანსებას ევროსაბჭო უკრძალავს?

**საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილის მტკიცებით, იურიდიული პარტიებისთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების აკრძალვის რეკომენდაცია ევროსაბჭოს უწყება „გრეკოს“, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს ეკუთვნის და არა — ნაციონალურ მოძრაობას.**

ნათია ხურცილავა


პავლე კუბლაშვილი

იურიდიული პირებისთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების შესაძლო აკრძალვის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებმა განცხადება ორი დღის წინ გაავრცელეს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მიერ პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების სისტემაში არსებული პრობლემები გასული (2008 და 2010 წლის) არჩევნების პერიოდშიც მწვავედ ისმებოდა.

„გრეკოს“ რეკომენდაციები კი ჯერ კიდევ 2011 წლის 1 ივლისს გამოქვეყნდა.

მმართველი გუნდის მიერ მათი გათვალისწინება დღემდე არ მომხდარა და არც ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტში ასახულა.

შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ პარტიათა დაფინანსების შეზღუდვების მიმართულებით ხელისუფლების ინიციატივები შესაძლებელია უკავშირდებოდეს საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს, — ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში.

საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა აკაკი მინაშვილმა კი პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ აღნიშნული იდეა პოლიტიკურად მოტივირებული არ არის.

აკაკი მინაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკურად მოტივირებულები სწორედ ამ განცხადების ავტორი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან.

პარლამენტარის განცხადებით, რეკომენდაცია ეკუთვნის ევროსაბჭოს უწყებას, „გრეკოს“, თუმცა კანონპროექტის სახით ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი ამბობს, რომ დაფინანსების კუთხით რეკომენდაციები საქართველომ ჯერ კიდევ პირველ ივნისს მიიღო და თავადაც მიაჩნია, რომ საჭიროა არაერთი საკითხის გადახედვა.

თუმცა, კუბლაშვილისავე განცხადებით, კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერჯერობით არც ერთ საკითხზე არ არის მიღებული, მათ შორის — არც იურიდიული პირების მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თაობაზე.

კუბლაშვილს არასერიოზულად მიაჩნია არგუმენტი იმის შესახებ, რომ ეს ინიციატივა პოლიტიკურად არის მოტივირებული და ბიძინა ივანიშვილის ფაქტორს უკავშირდება.

— დაუჯერებელია, რომ სწორედ პოლიტიკური მოტივებითა და ბიძინა ივანიშვილის ფაქტორით ეხელმძღვანელათ ევროსაბჭოში, როდესაც დაფინანსების გამჭვირვალობის თაობაზე საქართველოს რეკომენდაციას აძლევდნენ, — განაცხადა კუბლაშვილმა.

ჩამოყალიბდება თუ არა კონკრეტული კანონპროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კუბლაშვილი ჯერ ვერ აკონკრეტებს და მხოლოდ იმას ამბობს, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება არც ერთ საკითხზე არ არის მიღებული.


## SMS-განცხადებები - 3090

● ვყიდი ძალიან პერსპექტიულ 4-ოთახიან, ჩეხური პროექტის ურემონტო ბინას პირველ სართულზე, ნაკვეთით, დიდი სარდაფით, გლდანის მე-6 მკრ., 23 კორპ. ფასი - 60.000 დოლარი. ტელ.: 593-40-84-32.

● იყიდება სოფელ მუხრანში სახლი ეზოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 593-96-41-39.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუზა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ძვლებში მეტასტაზების მკურნალობა სწრაფად და შედეგიანად. სისხლის დაცვა და აღდგენა ქიმიო და რადიოთერაპიისას. ტელ: 295-23-98.

# ეროვნულ მუზეუმს უნიკალური ნამუშევრები გადაეცა

ეკა ირემაშვილი

**განახლებულ ეროვნულ გალერეაში უნიკალური ნახატების გადაცემის ცერემონია გაიმართა. „ვითიბი“ ბანკმა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა მის მფლობელობაში არსებული ორი ნახატი — ცნობილი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის მიერ 1891 წელს შესრულებული ნამუშევარი „მამაკაცის პორტრეტი“ და მარტიროს სარიანის ნამუშევარი „ქალიშვილის პორტრეტი“, რომელიც 1945 წელს არის შესრულებული. ნახატების გადაცემის ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და „ვითიბი“ ბანკის წარმომადგენელი ნიკა ჩხეტიანი.**

„ვითიბი“ ბანკის საცალო ბიზნესის დირექტორის ვალერიან გაბუნიას განცხადებით:

— ვითიბი ბანკი მოხარულია, რომ მიეცა შესაძლებლობა გადაეცა ეს ნახატები ეროვნული მუზეუმისთვის, ამიერიდან მათი ნახვა ყველა მსურველისთვის იქნება შესაძლებელი. იმედს ვიტოვებთ გიგო გაბაშვილის და მარტირო სარიანის ეს ნამუშევრები ღირსეულ ადგილს დაიკავებს საქართველოს ეროვნული გალარეის ექსპოზიციაში.

ორივე ნამუშევარი ბინას ეროვნულ მუზეუმში დაიდებს და მათი ნახვა უკვე დამთვალიერებელსაც შეეძლება.

— ეროვნულ გალერეას ახალი ექსპონატები შეემატა. „ვითიიბი“ ბანკმა მის მფლობელობაში არსებული ორი ნამუშევარი — ცნობილი ქართველი მხატვრის გიგო გაბაშვილის „მამაკაცის პორტრეტი“ და მარტიროს სარიანის „ქალიშვილის პორტრეტი“ სრულიად უსასყიდლოდ გადმოგვცა. აქამდე ნამუშევრებს მხოლოდ საქართველოს პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ გადმოგვცემდა. ახლა კი მათ რიგებს უკვე „ვითიბი“ ბანკიც დაემატა. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ ბანკმა ეს ორი უნიკალური ნამუშევარი ჩვენს მუზეუმს უსახსოვრა. იმედს ვიტოვებ, რომ სხვა ბანკებიც მიბაძავენ „ვითიბი“ ბანკს და ისინიც შემოგვწირავენ მნიშვნელოვან ნახატებს. ორივე ავტორი საკმაოდ ცნობილია, განსაკუთრებით კი გიგო გაბაშვილი, რომელიც დღეს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, — განაცხადა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

ნახატების გადაცემის ცერემონიალზე „ვითიბი“ ბანკის წარმომადგენელმა ნიკა ჩხეტიანმა კი განმარტა:

— ეს ნახატები ჩვენთან დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა. ჩვენ გვქონდა სურვილი, რომ ისინი ეროვნული გალარეისთვის გადაგვეცა და თან მათ ავთენტურობაში დავრწმუნებულიყავით. დღეს დადგა დრო, როცა ჩვენ ეს ორი ცნობილი მხატვრის ნახატი სრულიად უსასყიდლოდ ეროვნულ მუზეუმს გადავეცით.

ეროვნულმა გალერეამ ამ ორი უნიკალური საჩუქრის მიღების პარალელურად მოაწყო ღონისძიება, სახელოდებით „საქართველო 7 მილიარდიან სამყაროში“. მისი ორგანიზატორები გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა და საქართველოს ეროვნული მუზეუმი იყვნენ.

— მსოფლიოს მოსახლეობის 7 მილიარდიან ნიშნულთან დაკავშირებით, ღონისძიება გაეროს კვირეულის ფარგლებში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაიგეგმა. როგორც ცნობილია, 31 ოქტომბერს პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა 7 მილიარდს მიაღწევს, 24 ოქტომბერს კი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ჩაირთო მრიცხველი და დაიწყო 7 მილიარდიანი ნიშნულის ათვლა. გაეროს მოსახლეობის ფონდი მსოფლიო მასშტაბით აღნიშნავს ამ მნიშვნელოვან მოვლენას. 7 მილიარდის ახალი ნიშნული მსოფლიოსაგან მოითხოვს ახლებურ ხედვას და შესაბამისად ქმედებებს, რათა დაძლეულ იქნას არსებული გამოწვევები. საქართველო 7 მილიარდიანი სამყაროს ღირსეული წევრია თავისი უძველესი ისტორიით, ცივილიზაციის უნიკალური საგანძურით, მოსახლეობის განვითარების საკითხებითა და მომავლის პერსპექტივებით. საქართველოსა და მსოფლიოს მომავალი ჩვენს დღევანდელ ქმედებებზეა დამოკიდებული, — განაცხადა ღონისძიებაზე გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამარ ხომასურიძემ.

გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ბაბატუნდე ოსოტიმეჰის მიერ გავრცელებულ სპეციალურ მიმართვაში კი ნათქვამია:

— დღეს, როცა სიღარიბე, უთანასწორობა და რესურსების უკმარისობა მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს, მათ დაძლევაში რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს, შევძლებთ თუ არა თანაარსებობას ჯანმრთელ პლანეტაზე, დამოკიდებულია ჩვენს ახლანდელ არჩევანსა და გადაწყვეტილებებზე, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობა 7 მილიარდს მიაღწევს. უთანასწორობის შემცირება და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის მოითხოვს ახლებურ აზროვნებას და მთელი მსოფლიოს უპრეცედენტო თანამშრომლობას. და, აი დადგა მოქმედების დროც. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ მომავალი ახალგაზრდებთან ერთად, მხარი დავუჭიროთ გოგონებისა და ქალთა უფლებების წარმოჩენას, ერთად დავიცვათ ბუნებრივი რესურსები, რაზეც ყველა ჩვენთაგანია დამოკიდებული. ახალგაზრდობა მოსახლეობის ყველაზე ურთიერთდაკავშირებული ნაწილია, ასეთი კავშირები კი იწვევს საზოგადოების, პოლიტიკისა და კულტურის გარდაქმნას. ქალებისა და ახალგაზრდების მეტი აქტიურობით შეგვიძლია ავაშენოთ უკეთესი მომავალი ყველა თაობისთვის. გაეროს მოსახლეობის ფონდი წარმოადგენს განვითარების სფეროში მოქმედ საერთაშორისო სააგენტოს, რომელიც ხელს უწყობს ყოველი ქალის, მამაკაცისა და ბავშვის უფლებას იცხოვროს ჯანმრთელი ცხოვრებითა და თანაბარი შესაძლებლობების პირობებში. გაეროს მოსახლეობის ფონდი დახმარებას უწევს ქვეყნებს მოსახლეობის შესახებ მონაცემების დამუშავებაში შესაბამისი პოლიტიკისა და პროგრამებისათვის სიღარიბის დასაძლევად. ამ ფონდის მიზანია, ყველა ორსულობა იყოს სასურველი, ყველა ორსულობა — უსაფრთხო, ყველა ახალშობილი — ჯანმრთელი, ყველა ახალგაზრდა — დაცული აივ-შიდსისგან და დამოკიდებულება ყველა გოგონასა და ქალის მიმართ — გამსჭვალული ღირსებითა და პატივისცემით.

საქართველოში დაგეგმილ ღონისძიებაზე მოსახლეობის 7 მილიარდიან ნიშნულთან მიახლოებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა:

— მდიდარი ბუნებრივი რესურსები ათასობით წლის მანძილზე ხელს უწყობდა ადამიანების უწყვეტ განვითარებასა და განსახლებას. ამის დასტურია საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული მრავალი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კვლევა, მათ შორისაა ევრაზიაში უძველესი ადამიანის ნაშთების აღმოჩენაც. დმანისის არქეოლოგიური ძეგლი (რომელიც 1.8 მილიონი წლით თარიღდება) საქართველოს წარმოადგენს, როგორც პირველი ევროპელების სამშობლოს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში მარიუს პილისის ფილმის „წერილი პოლონეთიდან“ ჩვენება გაიმართა. ფილმი პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ტრაგიკულ გარდაცვალებას და ამ ტრაგედიის გამოძიების პროცესს ეხება. ღონისძიების ორგანიზატორები დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს პარლამენტის წევრი კობა ნაყოფია არიან. ფილმი ინგლისურ ენაზე იქნა ნაჩვენები.

— მარიუს პილისი პოლონელი დოკუმენტალისტი, რეჟისორი, მწერალი და პროდიუსერია. მის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმები თანამედროვე პერიოდის ყველაზე მძაფრ მოვლენებს ასახავს. მარიუს პილისის დოკუმენტურ ფილმებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „სიმართლის ფასი“, დოკუმენტური სერიალი „დიქტატორები“, „ერაყის თამაშები“, „ბაზარი სახელად ევროპა“, „სამოთხის სურნელი“, „ჩეჩნეთი“, „ბინძური ომი“, „ავღანეთიდან გასვლა“. მარიუს პილისის შემოქმედების თემატიკა ძირითადად ისტორიას, ისლამს, პოლიტიკას, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს, ცენტრალურ აღმოსავლეთ ევროპას, კულტურებს, ცივილიზაციათა შეჯახებას, ფეხბურთსა და სამზარეულოს მოიცავს. ფილმი „წერილი პოლონეთიდან“ ამ ქვეყნის პრეზიდენტს ლეხ კაჩინსკის ეხება. სწორედ ამიტომ ჩვენ ამ ფილმის საქართველოში ჩვენების გადაწყვეტილება მივიღეთ, — განაცხადა დისაპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა პაპუნა დავითაიამ.

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში წიგნის „დადიანები“ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის ორგანიზატორები იყვნენ დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდი, შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში, დადიანების სასახლეების ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი. წიგნი ლიკა მამაცაშვილმა, გიორგი კალანდიამ, ლილი ბერაიამ და მაია ქუთათელაძემ შეადგინეს. პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ისტორიულ ფოტო-დოკუმენტური წიგნი დადიანების გვარის უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

— დადიანების სასახლეების ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი სხვა სიმდიდრესთან ერთად უნიკალურ ფოტომასალასაც ინახავს. ეს ფოტოკოლექცია გახდა სტიმული სრულყოფილი წიგნის გამოსაცემად დადიანების შესახებ, იმის წარმოსაჩენად, თუ რამდენად დიდი და მნიშვნელოვანია მათი ცხოვრება, მოღვაწეობა და გავლენა საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ სფეროში. დადიანების გვარი პრაქტიკულად პირველია, ვინც ევროპასთან მასშტაბურ და შედეგიან ურთიერთობას ამყარებს, — განაცხადა წიგნის პრეზენტაციაზე გამოცემის ერთ-ერთმა ავტორმა ლიკა მამაცაშვილმა.

წიგნში გამოყენებულ ფოტოები და ტექსტი ასახავს დადიანთა გვარის წარმოშობის ისტორიას, მოგვითხრობს მის სასახლეებსა და არისტოკრატიული წრის ცნობილ წარმომადგენლებზე, მსოფლიოს უძლიერეს ხელმწიფეებზე, იმპერატორებზე, ნათესავებზე, მწერლებზე, ისტორიულ ფაქტებზე, სახელმწიფო მოღვაწეებზე.

— ეს ფოტოკოლექცია უნიკალურია იმითაც, რომ ამ ფოტოებს იღებდნენ ევროპაში, რუსეთსა და საქართველოში ისეთი ცნობილი ფოტოგრაფები, როგორებიც იყვნენ ნადარი, დისდერი, დაგრონი, ვიგანდი, პირსონი, ბერგამასკო, როტლინგერი, ლევიცკი, კაუფმანი, როინაშვილი, ერმაკოვი, ბარკანოვი. დადიანების მოღვაწეობა, მათი გვარის მნიშვნელობა ნათლად წარმოაჩენს ქართველი ერის ისტორიულ სწრაფვას, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ მსოფლიოს ერთიან კულტურულ სივრცეში, — აღნიშნა პრეზენტაციაზე წიგნის ავტორმა გიორგი კალანდიამ.

დადიანების კრებულის პრეზენტაციაზე ცნობილი გახდა ისიც, რომ მალე ზუგდიდში დადიანების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ოქროს ფონდში დაცული უნიკალური ექსპონატები გამოიფინება. საამისოდ მუზეუმში სამი დარბაზი რემონტდება, რომლის დასრულებისას ყველა დამთვალიერებელს გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ შეეძლება ამ ექსპონატების დათვალიერება.

— გამოფენა იუნესკოს პროექტის ფარგლებში ნოემბრის დასაწყისში გაიხსნება. ფინანსურ დახმარებას აღნიშნულ პროექტს იაპონიის მთავრობა უწევს. გამოფენაზე დამთვალიერებლებს საშუალება ექნებათ ნახონ წარმართული პერიოდიდან ოქროს ფონდში დაცული როგორც ოქროს, ასევე ვერცხლის უნიკალური ნივთები. გამოიფინება გიორგი მეთორმეტე — აფხაზთა მეფედ წოდებულის პირადი ნივთები და ხელნაწერები, ასევე ლევან მეორე დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნოში დამზადებული ოქროს ნაკეთობები, საეკლესიო ხატები და ჯვრები. აქვე იქნება გამოტანილი თაგილონის განძიც, რომელიც ახალი წელთაღრიცხვით I-II საუკუნეებით თარიღდება, უნიკალური ირმის ოქროს თავი-რიტონი, რომლითაც მაშინ ღვინოს სვამდნენ, — განაცხადა კრებულის „დადიანები“ ერთ-ერთმა ავტორმა და დადიანების მუზეუმის დირექტორმა ლილი ბერაიამ.

როგორც კრებულის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი, ოქროს ფონდის გამოფენას ზუგდიდში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება.



დავით ლორთქიფანიძე

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 2. სულელი, ჩერჩეტი, შტერი; 3. აეროპორტი მადრიდში; 4. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნივთიერება; 7. განმარტებითი ხასიათის შენიშვნა; 8. პირობითი სასჯელი; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. მონასტერი ქსნის ხეობაში; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებულ თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. ოფიციალური დოკუმენტი; 20. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული.

**თარაზულად:** 5. ოფიციალური განცხადება საერთაშორისო მოლაპარაკების შედეგების შესახებ; 6. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 9. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 10. პამინდვრით და ბადრიჯნით შეზავებული ცხვრის წვნიანი კერძი; 11. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 13. ცხელი, შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 15. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 18. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 21. ლექციის, მოხსენების მოკლე ჩანაწერი; 22. ქალაქი იმერეთში; 23. ძილის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა.*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აკიჰიტო; 2. ფილტრი; 3. იოსელიანი; 4. ბუშელი; 5. თეთნულდი; 7. ბონო; 11. თაღლითი; 13. გავიალი; 15. ოტელო; 16. თოიძე; 18. რუმბი; 19. სენტო.

**თარაზულად:** 6. კოვბოი; 8. მიკრონი; 9. მუშაითი; 10. ინდოეთი; 12. დიქტი; 14. ჟიგოლო; 17. ნოვარტისი; 20. უნისონი; 21. პლებეი; 22. ბენტლი; 23. აერობუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფორტუნა; 2. ქართლი; 3. მოკასინი; 4. ვინოტერა; 7. კონდიტერი; 8. აფერისტი; 12. ფავორიტი; 14. სოლიტერი; 16. ტყიბული; 17. კრაკოვი; 19. ბაჟი; 20. არსი.

**თარაზულად:** 5. მოწამეთა; 6. სტოკჰოლმი; 9. ლუგანო; 10. ლოპესი; 11. ტენგე; 13. შაშხი; 15. დოლიძე; 18. წყალი; 21. კელაპტარი; 22. უიარაღო; 23. ფილიპსი.

# ნინო ანანიაშვილი აზერბაიჯანში იცეკვებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კახეთში დასრულდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასმა კახეთში ერთმოქმედებიანი ბალეტები და მინიატურები წარმოადგინა. ნინო ანანიაშვილმა კი მომაკვდავი გედის ცეკვა შეასრულა. დასმა კახელი მაყურებლისთვის იცეკვა ბალეტი „საგალობელიც“, რომელიც ქართულ მელოდიებზეა დადგმული. თელავის სახელმწიფო თეატრში მისულ მაყურებელს საბალეტო დასმა შთამბეჭდავი გალა-კონცერტი შესთავაზა. სალამოზე დასწრება უფასო იყო და იგი კახეთის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოეწყო.

პრიმა ბალერინა სტუდენტებსაც შეხვდა. „საქართველოს უნივერსიტეტისა“ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს მოცეკვავე თავის განვლილ გზაზე, ბალეტთან დაკავშირებულ ამბებზე და იმ რთულ გზაზე ესაუბრა, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობას ახლავს თან. პრიმა ბალერინამ და ქართული საბალეტო დასის ხელმძღვანელმა სტუდენტებს საბალეტო დასის 2011-2012 წლების სეზონის გეგმები გააცნო. ნაჩვენები იქნა ვიდეოჩანაწერები ქართული საბალეტო დასის სპექტაკლებიდანაც. შეხვედრა უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზებით ჩატარდა.

როგორც ნინო ანანიაშვილმა განაცხადა, საბალეტო სპექტაკლებზე დასწრება სტუდენტებს შეღავათიან ფასებში სპეციალური აბონიმენტით შეეძლებათ.

შედით საიტზე atb.ge

# როჯერ ფედერერი: „ვამაყობ საკუთარი კარიერით“

სპორტში ყველაფერი ხდება – მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად მიჩნეული როჯერ ფედერერი სარეიტინგო სამეფო ტახტზე დიდი ხნის მანძილზე იჯდა, მაგრამ შემდეგ ნელ-ნელა დათმო პოზიციები და სადღეისოდ მხოლოდ მეოთხე ჩოგნის სტატუსს ფლობს.

„მხიარულმა როჯერმა“ თავისი კარიერის მაძილზე პირველად ვერ შეძლო წლის განმავლობაში რომელიმე დიდი სლემის ტურნირის მოგება და 8 წლის განმავლობაში პირველად აღმოჩნდა რეიტინგში სამეულს მიღმა, თუმცა შვეიცარიელი ჩოგბურთელი



ირწმუნება, რომ კარიერას ლამაზად დაასრულებს. ამის შანსი წელსაც აქვს, როდესაც შემაჯამებელ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ჩოგბურთელი მომავალ წელს უფრო დიდ გამარჯვებებს გეგმავს.

***– მიმდინარე სეზონში ვერც ერთი დიდი სლემის ტურნირის მოგება ვერ მოახერხეთ. ეს თქვენთვის ალბათ მძიმე გადასატანია.***

– მიმდინარე სეზონი მართლაც რთული გამოვიდა, თუმცა ძალიან გულდაწყვეტილიც არ ვარ. არ ღირს წარსულზე ზედმეტად ნერვების შლა, საჭიროა მომავალში ყურება.

***– მომავალში რას გულისხმობთ? თქვენ ისედაც ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად მიგიჩნევენ.***

– იმას, რომ სეზონი ჯერ არ დასრულებულა და მომავალ ტურნირებს მოუთმენლად ველი. წელს კიდევ დიდი გეგმები მაქვს – ტურნირი ბაზელში და შემაჯამებელი შეჯიბრება ლონდონში. დარწმუნებული ვარ, ინტენსიური ვარჯიშის შედეგად კარგ ფიზიკურ ფორმაში ვიქნები და ეს შედეგს გამოიღებს. დიდხანს არ მქონია ამგვარი განწყობა და საბრძოლო მდგომარეობის თავიდან შეგრძნება ძალიან სასიამოვნოა.

***– ისეთ შთაბეჭდილებს იქმნით, რომ ასეთი გამოწვევები თქვენი კარიერის ახალი მამოძრავებელი ძალაა.***

– გამოწვევები – ჩემი კარიერის მამოძრავებელი ძალაა? პირადად ამას გამოწვევას ვერ დავარქმევ – ეს უფრო წარმატების მიღწევის სურვილია. როცა საუკეთესოდ თამაშობ, ამ დროს სიამოვნებას იღებ, მაგრამ როდესაც ხვდები, რომ აღარაფერი გაქვს დასამტკიცებელი, ეს აღარ გაკმაყოფილებს. მოლოდინი კი, ყოველი მარცხის შემდეგ იზრდება. ახალგაზრდა ჩოგბურთელებთან ბრძოლაში თავს უკონკურენციოდ სულაც არ ვთვლი. მინდა საკუთარ თავს და ყველას დავუმტკიცო, რომ დიდი სლემის ტურნირის მოგების ძალა კვლავაც შემწევს. ამისათვის კი, რაფას და ნოვაკის დამარცხებაა საჭირო და კიდევ მარეის, რომელსაც თავის მხრივ, ჩვენი დამარცხება შეუძლია.

***– თქვენი მიღწევები 16 დიდი სლემის ტიტულის გარეშეც კი შთამბეჭდავია, თუმცა ხანდახან ავიწყდებათ. ეს თქვენში განაწყენებას ხომ არ იწვევს?***

– მართალია, ავიწყდებათ, მაგრამ ისევ ახსენდებათ, როდესაც ჯოკოვიჩისნაირი ჩოგბურთელი ასეთივე შედეგებს აღწევს. მასმედია მაშინვე იწყებს სხვადასხვა რეკორდების შედარებას. ასევე მოსალოდნელია, რომ როდესაც კარიერის დასრულების შესახებ გავაკეთებ განცხადებას, ჩემი ყველა მიღწევა გაიხსენონ. ზაფხულში, ცინცინატის ტურნირისას დავიდ ნალბანდიანს ვესაუბრებოდი და უცებ მკითხა – 2004-დან 2006 წლამდე რამდენი მატჩი წააგე? მე დავიბენი და ვუპასუხე – არ მახსოვს. საერთოდ, 2004-2007 წლები გადასარევი დრო იყო. ტოპ-ათეულში მოთამაშე ჩოგბურთელებს ზედიზედ 26-ჯერ ვძლიე და ასევე ზედიზედ 24 ფინალი მოვიგე. მაშინ ყველა ფინალს ვიგებდი, რომელშიც ვმონაწილეობდი.

***– სწორედ ამიტომ გისვამენ ყველაზე ხშირად შეკითხვებს თქვენი ახლანდელი სარეიტინგო ადგილის შესახებ. სადღეისოდ, ნოვაკ ჯოკოვიჩის, რაფაელ ნადალისა და ენდი მარეის შემდეგ ხართ, ეს არ გაღიზიანებთ?***

– ხან კი, თან – არა. სარეიტინგო სისტემას ვამართლებ, მაგრამ ის მთლიანობაში დიდ ზეწოლას ახდენს ჩოგბურთელებზე. ხშირად რეიტინგი მასმედიაში ახალ საუბრებს იწვევს, თუმცა ის ხანდახან სრულად არ ასახავს იმ მომენტს, რომ რამდენიმე ჩოგბურთელი, შესაძლოა, ერთნაირად კარგად თამაშობდეს. ჩვენ მივეჩვიეთ იმაზე ფიქრს, რომ არის ერთი ლიდერი და შემდეგ სხვები მოდიან – ეს კი არასწორად მიმაჩნია.

***– ახსენეთ, რომ ასაკი არ გაშინებთ. კარიერის დასრულების შესახებ ფიქრი არ გაწუხებთ?***

– არანაირად. კარიერის დასრულების შესახებ ფიქრი ჯერ კიდევ 4 წლის წინ დავიწყე. მიღწეულის შემდეგ, შემეძლო ჩოგბურთიდან მშვიდად წავსულიყავი. ვამაყობ საკუთარი კარიერით და ვიმედოვნებ, რომ ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგ ხანგრძლივი და საინტერესო ცხოვრება მექნება. კიდევ ბევრი რამის გაკეთება მინდა, რაც საჩოგბურთო კარიერას არ უკავშირდება, თანაც ოჯახთან უფრო დიდი დროის გატარების საშუალება მექნება.

# მსოფლიოს სიმბოლურის შედგენისას გორგოძეც ახსენეს

ახლხან ახალ ზელანდიაში დასრულდა მსოფლიო თასი რაგბიში, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს. „ოლ ბლექსმა“ ფინალში 8:7 მოუგო ფრანგებს და უებ ელისის თასი 4 წლით ჩაიბარა.

როგორც ხედავთ, უპირობო ფავორიტად შერაცხულ „ოლ ბლექსს“ ფინალში ძალიან გაუჭირდა. საერთოდ, ფრანგების გარდა ამ ტურნირმა კიდევ რამდენიმე საინტერესო გუნდი და მორაგბე წარმოაჩინა. როგორც ყოველთვის, ამ ტურნირის შემდეგაც შეირჩა სიმბოლური ნაკრები, სადაც ერთ პოზიციაზე ორი სპორტსმენი იქნა განხილული.

ის, რომ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მესამეხაზელი მამუკა გორგოძე მსოფლიო თასის სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა, მხოლოდ იმის ბრალია, რომ „ბორჯღალოსნებმა“ ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახეს. მსოფლიოს სხვადასხვა გამოცემებმა სიმბოლური ნაკრებები ჩამოწერეს და აღნიშნავდა, რომ გორგოძეს მეტის საშუალება რომ ჰქონოდა, აუცილებლად მოხვდებოდაო, მაგრამ სიმბოლურში მის პოზიციაზე ის ორი მორაგბე მოხვდა, რომელთა ნაკრებებმაც მინიმუმ მეოთხედფინალი ითამაშეს.

სიმბოლური ნაკრები დაასახელა პოპულარულმა სარაგბო ინტერნეტგვერდმა პლანეტა რაგბიმ, რომელმაც თითოეულ პოზიციაზე ერთი ძირითადი და ერთიც შემცვლელი მორაგბე დაასახელა. აღსანიშნავია, რომ იმავე ვებგვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვაში 8 ნომრის პოზიციაზე სწორედ გორგოძე ლიდერობს, თუმცა პლანეტა რაგბის თავისი ვერსია აქვს და გულშემატკივართა აზრს არ ითვალისწინებს. თუმცა რა გასაკვირია – სიმბოლურის გარეშე დარჩა წლის საუკეთესო მორაგბედ ირბ-ს მიერ აღიარებული ტიერი დიუზოტუარი.

– დიდი დებატების შემდეგ, ის 15 მორაგბე შევარჩიეთ, რომლებიც ჩვენი აზრით, 2011 წლის მსოფლიო თასზე ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ. საუკეთესოების შერჩევა იოლი არ არის. ამიტომაც ეს პროცესი ერთი კვირის ადრე დავიწყეთ და დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. არჩევანი არა მხოლოდ მორაგბეთა ინდივიდუალური მონაცემების გამო გავაკეთეთ, არამედ გავითვალისწინეთ მათ მიერ გუნდისთვის გაწეული მარგი ქმედების კოეფიციენტიც, – აღნიშნულია ვებგვერდზე.

### პლანეტა რაგბის ვერსიით, 2011 წლის მსოფლიო თასის სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება:

**15. იზრაელ დეგი — ახალი ზელანდია**

– მისი არჩევა რთული არ იყო და აქ ყველასი – სპეციალისტებისა თუ გულშემატკივრების აზრი ერთმანეთს ემთხვევა. ზელანდიელთა მწვრთნელმა გრემ ჰენრიმ თამამი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც ვეტერან მილს მულიაინაზე უარი თქვა და ამ პოზიციაზე დეგი ათამაშა.

**მეორე ნომერი** – ქერთლი ბილი (ავსტრალია)

**14. კორი ჯეინი — ახალი ზელანდია**

– ამ პოზიციამ დიდი ვნებათაღელვა და კამათი გამოიწვია, რადგან ძალიან ბევრმა მორაგბემ გამოიჩინა თავი, მაგრამ ჯეინი მაინც შეუდარებელი იყო. ფრანგმა ვენსან კლერკმა 6 ლელო კი გაიტანა და ბევრი სწორედ მას ემხრობა, მაგრამ ზელანდიელს ერთი შეცდომაც არ დაუშვია და უპირატესობას მაინც მას ვანიჭებთ. ამავე პოზიციაზე აუცილებლად უნდა ვახსენოთ ავსტრალიელი ჯეიმს ოკონორიც.

**მეორე ნომერი** – ვენსან კლერკი (საფრანგეთი)

**13. მაა ნონუ — ახალი ზელანდია**

– ასარჩევად აქაც ცოტა რთულად იყო საქმე. ნონუმ სპორტულ პიკს სწორედ მსოფლიო თასზე მიაღწია და გასაკვირიც არ იყო, რომ ირბ-მ წლის საუკეთესო მორაგბეთა ნომინანტებს შორის დაასახელა.

**მეორე ნომერი** – მანუ ტუილაგი (ინგლისი)

**12. ჯეიმი რობერტსი — უელსი**

– ტურნირის ერთ-ერთი ნამდვილი ვარსკვლავი. რობერტსი თითქმის ყოველთვის ახერხებდა ხაზის გაჭრას, როცა კი ბურთს ეხებოდა.

**მეორე ნომერი** – ფრანსუა სტეინი (სამხრეთ აფრიკა)

**11. შეინ უილიამსი — უელსი**

– მარჯვენა ფლანგისგან განსხვავებით, მარცხენა ფლანგზე დიდი არჩევანი არ ყოფილა. სწორედ უილიამსის დამსახურებაა ის, რომ უელსმა პლეი ოფში გააღწია. მან სამოასთან მატჩში ლელო გაიტანა და გუნდს გადამწყვეტი 5 ქულა შესძინა.

**მეორე ნომერი** – დიგბი იოანე (ავსტრალია)

**10. რის პრისტლენდი — უელსი**

– მსოფლიოს თასის ნამდვილი აღმოჩენა, რომელიც ყველამ ერთხმად აღიარა. ის უნარიანად უძლვებოდა უელსთა შეტევებს.

**მეორე ნომერი** – მორნი სტეინი (სამხრეთ აფრიკა)

**9. პირი ვეეპუ — ახალი ზელანდია**

– მარგი ქმედების კოეფიციენტით ვეეპუ შეუდარებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფინალური მატჩი ჩაუვარდა. მან კარტერის არყოფნაში ნაწილობრივ მისი ფუნქციებიც შეითავსა, ფეხით ძალიან კარგად ითამაშა და დანაკლისი შეუმჩნეველი გახადა.

**მეორე ნომერი** – მაიკ ფილიპსი (უელსი)

**8. იმანოლ არენორდოკი — საფრანგეთი**

– ამ პოზიციაზე საუკეთესოს ასარჩევად სჯა-ბაასი დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქართველი მამუკა გორგოძე, რომელიც ფენომენალური იყო.

**მეორე ნომერი** – სერხიო პარისე (იტალია)

**7. სემ უორბერტონი — უელსი**

– აქ არჩევანის გაკეთება მართლაც რთული იყო – რიჩი მაკქოუ, დევიდ პოკოკი და ტიერი დიუზოტუარი მაღალი კლასის მორაგბეები არიან, მაგრამ უორბეერტონმა მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა.

**მეორე ნომერი** – რიჩი მაკქოუ (ახალი ზელანდია)

**6. ჯერომ კაინო — ახალი ზელანდია**

– კაინო წლის საუკეთესო მორაგბეთა ნომინანტებს შორის იყო და სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრასაც იმსახურებს.

**მეორე ნომერი** – ჟულიენ ბონერი (საფრანგეთი)

**5. დანი რუსო — სამხრეთ აფრიკა**

– ბაქის ბოთას ტრავმის ფონზე, ბევრი შიშობდა, რომ სამხრეთ აფრიკის შერკინების მეორე ხაზი ჩავარდებოდა, მაგრამ რუსომ ეს „ქურციკებს“ არ აგრძნობინა.

**მეორე ნომერი** – ლუკ ჩარტერისი (უელსი)

**4. ბრედ ტორნი — ახალი ზელანდია**

– ყველა რთულ საქმეს გუნდში სწორედ ტორნი აგვარებდა. ის დაუნდობლად ასუფთავებდა რაქებს, 36 წლის ვეტერანი შეუდარებელი იყო დერეფანში თამაშისას.

**მეორე ნომერი** – ჯეიმს ჰორვილი (ავსტრალია)

**3. ნიკოლა მა — საფრანგეთი**

– აზრები აქაც გაიყო. ნაწილი ადამ ჯონსს და ოუენ ფრენკსს ემხრობოდა, მაგრამ ჩვენ ფრანგზე შევჩერდით.

**მეორე ნომერი** – ოუენ ფრენკსი (ახალი ზელანდია)

**2. კევენ მეალამუ — ახალი ზელანდია**

– მიუხედავად იმისა, რომ მან ფინალში კარგად ვერ ითამაშა და იმ კონკრეტულ შეხვედრაში ჰუკერის პოზიციაზე ვილიამ სერვა უკეთესად გამოიყურებოდა, მეალამუმ იმაზე მეტი სამუშაო გაწია, ვიდრე ჰუკერს ევალება. ის მუდამ დარჩება „ოლ ბლექსის“ ერთ-ერთ უდიდეს მორაგბედ.

**მეორე ნომერი** – ბისმარკ დუ პლესი (სამხრეთ აფრიკა)

**1. გუთრო სტეენკამპი — სამხრეთ აფრიკა**

– სტეენკამპმა დაგვანახა, თუ რატომ გახდა 2010 წელს სამხრეთ აფრიკის საუკეთესო მორაგბე. მას უკან ერთი ნაბიჯითაც კი არასდროს დაუხევია. თითქმის მის გვერდითაა ირლანდიელი კინ ჰილი, მაგრამ ჩვენ არჩევანი მაინც აფრიკელზე შევაჩერეთ.

**მეორე ნომერი** – კინ ჰილი (ირლანდია).

# კევინ დურანტი: „ეს თამაში ძალიან გვიყვარს“

სანამ ამერიკულ კალათბურთში დიდი უქმობაა და ლოკაუტის გამო სეზონის დაწყება მინიმუმ ერთი თვით არის გადადებული, კალათბურთელები თავად შეეცდებიან ეს დაკარგული აინაზღაურონ და 30 ოქტომბრიდან მსოფლიოს ტურნეს დაწყებას აპირებენ, რომელშიც ნბა-ს რამდენიმე ვარსკვლავი მიიღებს მონაწილეობას.



სულ ტურნეში 18 კალათბურთელია მიწვეული, რომელთაგან 14-მა უკვე განაცხადა თანხმობა და სამოგზაუროდ პუერტო-რიკოში, მაკაოში, ლონდონსა და ავსტრალიაში გაემგზავრებიან. ისინი ჯამში ექვს საჩვენებელ შეხვედრას ჩაატარებენ.

ცხადია, ყველა ეს კალათბურთელი ცნობილია, თუმცა მათგან შეიძლება რამდენიმე მათგანის გამოყოფა, რომელთა ხილვა გულშემატკივარს გაცილებით დიდ სიამოვნებას მიანიჭებს – დერიკ როუზი, კობი ბრაიანტი, ლებრონ ჯეიმსი და დუეინ უეიდი.

ტურნეში გამოსვლის სურვილი ასევე გამოთქვა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ესპანელმა ლეგიონერმა პაუ გასოლმა, რომელმაც ახლახან ევროპის ჩემპიონატი მოიგო:

– თუ ასეთი შესაძლებლობა გაჩნდება, სიხარულით შევუერთდები სხვა მოთამაშეებს მსოფლიო ტურნეში, – განაცხადა პაუმ.

მსოფლიო ტურნემდე ასოციაციის ვარსკვლავებმა ოკლაჰომაში მორიგი საჩვენებელი მატჩი ჩაატარეს. კევინ დურანტის 42 ქულამ და 26 მოხსნამ მის გუნდს ანგარიშით 176:171 მოაგებინა. ქულათა ძალიან დიდმა მარაგმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ – მატჩი ოვერტაიმში დასრულდა.

დურანტის გარდა, მაყურებელმა მოედანზე კრის პოლი, ლებრონ ჯეიმსი, კარმელო ენტონი და ჯეიმს ჰარდენი იხილა.

ნბა-ს კალათბურთელები მომავალშიც ვაპირებთ საგამოფენო მატჩების ორგანიზებას, რათა დაუმტკიცონ გულშემატკივრებს, რომ ეს თამაში ძალიან გვიყვარს. იმედია, შევძლებთ მიმდინარე კონფლიქტში კონსენსუსის მიღწევას, – განაცხადა დურანტმა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. თასი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ბოლტონი | 2:1 |
| კარდიფი-ბარნლი | 1:0 |
| კრ.პალასი-საუთჰემპტონი | 2:0 |
| ალდერშოტი-მანჩესტერი | 0:3 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გრანადა-ბარსელონა | 0:1 |
| სევილია-რასინგი | 2:2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ალკოიანო | 2:0 |
| ვილიარეალი ბ-ერკულესი | 0:1 |
| სელტა-ხირონა | 2:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-ფიორენტინა | 2:1 |

**გერმანია. თასი**

| | |
|---|---|
| ლაიფციგი-აუგსბურგი | 0:1 |
| უნტერხახინგი-ბოხუმი | 1:4 |
| ფორტუნა-მიუნხენ 1860 | 3:0 |
| ჰაიდენჰაიმი-გლადბახი | 0:0(3:4პ) |
| ტრირი-ჰამბურგი | 1:2(დდ) |
| დორტმუნდი-დინამო | 2:0 |
| ფიურტი-პადერბორნი | 4:0 |
| ჰოფენჰაიმი-კიოლნი | 2:1 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| მარსელი-ლანსი | 4:0 |

**ჰოლანდია. თასი**

| | |
|---|---|
| ოსი-დენ ბოსხი | 3:1(დდ) |
| ალმერე-ეინდჰოვენი | 1:2 |
| ზვოლე-ვალვაიკი | 0:1 |

**შოტლანდია. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| დანდი-ფალკირკი | 1:1(4:5პ) |
| კილმანროკი-ისტ ფაიფი | 2:0 |
| სტ.მირენი-ეირი | 0:1 |

**პოლონეთი. თასი**

| | |
|---|---|
| ბიტომი-ლეხი | 1:3(დდ) |

**დანია. თასი**

| | |
|---|---|
| ფრედერიცია-ვიბორგი | 1:1(6:5პ) |

**ირლანდია. პრემიერ დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დუბლინი-შემროკი | 1:2 |

**არგენტინა. აპერტურა**

| | |
|---|---|
| არსენალი-სან ლორენცო | 1:0 |
| ველეჟი-ესტუდიანტესი | 1:0 |
| რაფაელა-არხენტინოსი | 3:1 |
| კოლონი-ბოკა | 0:2 |

## კალათბურთი

**ევროლიგა. ულების თასი**

| | |
|---|---|
| უნიკახა-ჟალგირისი | 85:78(ოტ) |

## ჩოგბურთი

**ატპ. ვენა. პარი**

| | |
|---|---|
| რობრედო-ფონინი | 6:7;7:5;1:6 |
| ჰაასე-ჩელა | 6:7;6:3;7:6 |
| პეტშნერი-ანდუჰარი | 6:2;6:2 |
| მალისე-რამოსი | 6:1;6:4 |
| ბლეიკი-გარსია ლოპესი | 2:6;7:5;4:6 |
| ტიემი-მუსტერი | 6;2;6:3 |

**ატპ. სანქტ პეტერბურგი. პარი**

| | |
|---|---|
| გულბისი-როსოლი | 3:6;4:6 |
| ჩარდი-ლაოვიჩი | 4:6;4:6 |
| ტურსუნოვი-გაბაშვილი | 6:3;7:5 |
| კოლშრაიბერი-ბერლოკი | 6:7;6:3;6:1 |

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-პიტსბურგი | 0:3 |
| კაროლინა-ოტავა | 2:2(0:1ბ) |
| კოლამბუსი-დეტროიტი | 4:1 |
| ბუფალო-ტამპა ბეი | 3:4 |
| ნეშვილი-სან ხოსე | 1:3 |
| ჩიკაგო-ანაჰაიმი | 2:2(1:0ბ) |
| ედმონტონი-ვანკუვერი | 3:2 |
| ფინიქსი-დალასი | 2:2(0:1ბ) |
| ლოს ანჯელესი-ნიუ ჯერსი | 0:3 |

# ამერიკელები „სოხუმის“ წინააღმდეგ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მინდია გულუასადმი ანგარიშების გაყინვა იყო. ეს ყველაფერი კი მის პოლიტკაში გააქტიურებას მოჰყვაო.

ითქვა ისიც, რომ ამერიკელმა კალათბურთელებმა წასვლამდე ნარკოლოგიური შემოწმება არ გაიარეს და გუნდი თვითნებურად დატოვეს, რისთვის „სოხუმი“ მათ წინააღმდეგ საქმეს წამოიწყებსო და...

საქმე თავად ამერიკელმა კალათბურთელებმა წამოიწყეს. კერძოდ, მარკ სალიერსმა სპორტულ პორტალ „მსოფლიო სპორტიზე“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც ღიად აღნიშნავდა კლუბის მიერ დარღვეულ საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობაზე და აღნიშნა, რომ უახლოეს დღეებში დავის გადასაჭრელად საკალათბურთო არბიტრაჟის ტრიბუნალთან მიმართვას აპირებს. ამ საქციელის გამო კი მთელი ქართველი ერის წინაშე ბოდიშს იხდის, მაგრამ სხვა გზას ვერ ხედავს.

მოკლედ, ქართული კალათბურთის რეპუტაცია ეჭვქვეშ დადგა.

ამასობაში საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ წარმომადგენლებმა პორტალ „მსოფლიო სპორტს“ ოფიციალურად მიმართეს.

„სოხუმის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი სოციალურ ქსელ ფეისბუქის საშუალებით გაესაუბრნენ მარკ სალიერსს, რომელიც ვებ-გვერდზე განთავსებულ სტატიაზე პასუხისმგებლობას მის ქართველ აგენტს აკისრებს.

– მასმედიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 24 ოქტომბერს ვებ-გვერდ „მსოფლიო სპორტზე“ გამოქვეყნებულმა მასალამ, სათაურით – „მარკ სალიერსი „სოხუმის“ წინააღმდეგ სასამართლო პროცესს იწყებს“.

25 ოქტომბერს საკალათბურთო კლუბ „სოხუმის“ წარმომადგენელმა ნუგზარ კერესელიძემ წერილობით მიმართა უცხოეთში მყოფ კალათბურთელს, მარკ სალიერს, რომელმაც წერილობით შემდეგი განმარტება გააკეთა:

– ერთადერთი, მე რაც ვთქვი, ვებგვერდზე განთავსებულ სტატიაზე პასუხისმგებელი იყო ქართველი აგენტი. საკალათბურთო კლუბ „სოხუმ“-ში ვილაცამ მისცა ინტერვიუ ტელევიზიას, რომ ჩვენ გადაგვიხადეს ფული თამაშის წაგებაზე, რაც მტკნარი სიცრუეა და რამაც ალმაშფოთა. მე არ წამიკითხავს ვებ-გვერდზე განთავსებული სტატია. მე მხოლოდ ვთქვი, რომ არ ვარ გუნდ „სოხუმ“-ში. ვიცოდი ისტორია ამ სახელწოდების ქალაქის, ძალიან მეამაყებოდა, რომ ვთამაშობდი ამ გუნდში, იმ ქალაქის სახელწოდებით. მე მომავალში მათ ვუსურვებ წარმატებებს. გულწრფელად მჯერა, კლუბის პრეზიდენტი კარგი ადამიანია და მან არ იცოდა თუ რა ხდებოდა კლუბში მისი საქართველოში არყოფნის გამო. მე არ დამიწერია ის სტატია და არ წამიკითხავს ის, სანამ ჩემი აგენტი გააგზავნიდა მას. მან მისცა გაზეთს ინტერვიუ, მე არ დამიწერია წერილი და ჩემი სახელით მოაწერა ხელი, მაშინ, როცა მე არ დამიწერია.

ამასობაში, სალიერსის სიტყვებზე, თითქოს ნარკოლოგიური ტესტის შემოწმება, რომელიც „სოხუმის“ ხელმძღვანელობამ მათ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოთხოვნით მიმართა, საქართველოს კალათბურთის ხელმძღვანელი ორგანო უარყოფს.

– საქართველოს კალათბურთის ფედერაცია უფლებამოსილია განაცხადოს, რომ არანაირი შემოწმება, მათ შორის არც ნარკოლოგიური ფედერაციის მიერ არ ყოფილა კლუბებისადმი მოთხოვნილი. ამგვარ მოთხოვნას არც ახლა და არც წარსულში ადგილი არ ჰქონია. ამასთან, არც თავად კლუბებიდან არ წამოსულა ინიციატივა იმის თაობაზე, რომ კალათბურთის ფედერაციას მოთამაშეების რაიმე სახის შემოწმება ჩაეტარებინა.

რაც შეეხება წერილს, თუ ვისი დაწერილია, კალათბურთელის აგენტი ლევან მიქელაძე აცხადებს, რომ ცხადია, სალიერსი ქართულად ვერ დაწერდა და მან გადათარგმნა ინგლისური ენიდან, რომელიც კალათბურთელმა შეადგინა.

მოკლედ, ამ ფაქტთან დაკავშირებით ვნებათაღელვა ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება და შეძლებისდაგვარად შევეცდებით მოგაწოდოთ ინფორმაცია.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# თბილისის ჯაზ-ფესტივალი იწყება

**ეკა ირემაშვილი**

27 ოქტომბერს თბილისში უკვე მე-14-ედ ჩატარდება საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი, რომლის ორგანიზატორიც ტრადიციულად კომპანია „ისთერნპრომოუშენია“. წელს ჯაზის მოყვარულებს საშუალება მიეცემათ მსოფლიოს საუკეთესო ჯაზის შემსრულებლებს მოუსმინონ.

თბილისის ჯაზ-ფესტივალის ერთ-ერთმა სტუმარმა გრემის მფლობელმა ვირტუოზმა დრამერმა სონი ემორიმ ქართველი დრამერებისთვის და ჯაზის შემსრულებლებისთვის ექსკლუზიური მასტერკლასი გამართა. ჯაზ-ფესტივალის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ, გადაეღოთ ცნობილი მუსიკოსის მასტერკლასი და ჩაეწერათ მასთან ინტერვიუ. სონი ემორი თბილისის ჯაზ-ფესტივალზე 27 ოქტომბერს პროექტით „კატჩენ ფიუჟენ“ წარდგება. სონი ემორი – „დრამერი მხოლოდ ვარსკვლავებისათვის“ უკრავდა ისეთ მუსიკოსებთან და ჯგუფებთან, როგორებიც არიან ბეტ მიდლერი, ჯენიფერ ლოპესი, სტილი დანი, სტენლი კლარკი, დევიდ სენბორნი, ელ ჯერო, პაულ აბდული, ჟან-ლუკ პონტი, რიჰანა.

– თბილისის ჯაზ-ფესტივალზე დრამერი სონი ემორი თავისი 6 წევრიანი ჯგუფით ჩამოვიდა. მათ ახალ ალბომში გაერთიანებულია როკი და ფანკი. ეს ბენდი ჯაზის მოყვარულებისთვის თბილისის ჯაზ-ფესტივალზე ძალიან ენერგიულ ფანკ-როკ ლაივს დაუკრავს, მათ კონცერტზე, რომელიც თბილისის ივენთ ჰოლში 27 ოქტომბერს არის დაგეგმილი, უახლოესი პროგრამა შესრულდება, – განაცხადა „ისთერნპრომოუშენის“ წარმომადგენელმა მიშა გიორგაძემ.

თბილისის მე-14 საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი 27 ოქტომბერს „თიბისი ბანკის“ ორგანიზებით გაიხსნება და 30 ოქტომბრამდე გაგრძელდება. სამდღიანი ფესტივალის ფარგლებში ქართველ მსმენელებს საშუალება ექნება ჩარლზ ლოიდის კონცერტს ცოცხლად მოუსმინოს დიდ საკონცერტო დარბაზში.

– საქსაფონისტი ჩარლზ ლოიდი ჯაზის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ქმნის ისეთ მუსიკას, რომელსაც შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანი. მის მუსიკაზე დიდი გავლენა აქვს ჯონ კოლტრეინს, რომელსაც ხშირად ადარებენ კიდეც. ლოიდი თბილისს ახალი პროექტით ეწვევა თავის კვარტეტთან ერთად, – აღნიშნავს მიშა გიორგაძე.

თბილისის ჯაზ-ფესტივალის მორიგი სტუმარი ჯაზ-როკის პიონერი ლარი კორიელია. ის თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ჯაზ-ფიუჟენ გიტარისტია. ლოიდის მსგავსად, ისიც 60-იანი წლებიდან მოღვაწეობს და ბევრ ცნობილ მუსიკოსთან ერთად დაუკრავს, მათ შორის ჩიკო ჰამილტონთან, გარი ბარტონთან, რომელიც თბილისს ერთხელ უკვე ეწვია. ლარი იყო ლეგენდარულ პაკო დე ლუსიასა და ჯონ მაკლაფინთან ერთად. კორიელი თავიდან უკრავდა ვაშინგტონის ლოკალურ ბენდებში, შემდეგ კი გადავიდა სიეტლში, რათა ვაშინგტონის უნივერსიტეტში ესწავლა. იქ ყოფნისას კორიელი უკრავდა პოპულარულ ჩრდილო-დასავლურ ბენდებში. შემდეგ მუსიკოსი გადავიდა ნიუიორკში და გახდა ჩიკო ჰამილტონის ბენდის წევრი, სადაც ჩაანაცვლა გაბორ სზაბო. ის მუშაობდა გარი ბარტონთან. მისი მუსიკა 60-70-იან წლებში განიცდიდა როკის, ჯაზისა და აღმოსავლური მუსიკის გავლენებს. იგი თანამშრომლობდა არაერთ ცნობილ მუსიკოსთან ერიკ კლეპტონთან, ჯიმი ჰენდრიკსთან. მოგვიანებით შექმნა საკუთარი ბენდი, რომელიც დაეშალა. ბენდის დაშლის შემდეგ ძირითადად აკუსტიკურ გიტარაზე უკრავდა, მაგრამ დაუბრუნდა ელექტრო გიტარას და ჯაზ ფიუჟენ გიტარისტ ჯონ მაქლაფინთან და ლეგენდარულ პაკო




დე ლუსიასთან ერთად ჩამოაყალიბა ჯგუფი. მათ ერთად მოაწყეს ევროპის ტური. 2007 წელს კორიელმა გამოუშვა ავტობიოგრაფია. მისი ორი შვილი ჯულიანი და მურალი აგრეთვე აქტიურად არიან ჩართული მუსიკალურ საქმეში. თბილისში ლარი კორიელი ამჯერად შვილების გარეშე თავის ტრისოთან ერთად ჩამოვა.

– ჯაზის ცოცხალი ლეგენდა ჩარლდ ლოიდი 1960-იანი წლებიდან ერთ-ერთი დიდი ფიგურაა ჯაზის სამყაროში, მან თავისი მუსიკა მოასმენინა მთელ სამყაროს. მისმა სადებიუტო ალბომმა სახელწოდებით, რომელიც მან ჩაწერა 1966 წელს, მსოფლიოს გააცნო ისეთი მუსიკოსები როგორებიც არიან პიანისტი კიტ ჯარეტი, ბასისტი სესილ მაქბი და დრამერი ჯეკ დეჟონეტი. 44 წლის შემდეგ ჩარლზ ლოიდიმ ისევ შექმნა შედევრები. მისი ახლანდელი ბენდის წევრები არიან ჯეისონ მორანი (ფორტეპიანო), რუბენ როჯერსი (კონტრაბასი) და ერიკ ჰარლანდი (დასარტყამი ინსტრუმენტები). ახალი კვარტეტი ძალიან ჰგავს მის ორიგინალ კვარტეტს. უძლიერესი ნოვატორული კვარტეტი – ასეთია კრიტიკოსების, ფანების და თავად ჩარლზ ლოდის აზრი. საქსაფონისტი ლოიდი ქმნის ისეთ მუსიკას, რომელსაც შუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრები ადამიანი. მის მუსიკაზე დიდი გავლენა აქვს ჯონ კოლტრეინს, რომელსაც ხშირად ადარებენ კიდეც. აქვე უნდა ალვნიშნოთ, რომ ცნობილ და უკვე ლეგენდარულ ჯაზ-მენს, კეი ჯარეტს მუსიკალურად სწორედ ჩარლზ ლოიდმა აადგმევინა ფეხი. ჯარეტი ჩარლზის ბენდში კლავიშზე უკრავდა. ამჯერად ლოიდი თბილისს ახალი პროექტით ეწვევა, კვარტეტთან ერთად. დამერწმუნეთ, ასეთი ხარისხიანი კონცერტის მოსმენა არცთუ ისე ხშირად შეიძლება. ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ მისი ჩამოსვლა ქართველი მსმენელისთვის განსაკუთრებული საჩუქარია, – აცხადებს ჯაზ-ფესტივალის ორგანიზატორი.

უცხოელ ჯაზშემსრულებლებთან ერთად წლევანდელ თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალში ქართველი ჯაზმენი თამაზ ყურაშვილიც იქნება ჩართული. ქართული ჯაზის ნოვატორი მსმენელის წინაშე საკუთარ კვარტეტთან ერთად წარდგება.

ფესტივალის მთავარი მოვლენა კი 4 გრემის მფლობელი და ნეოსოულის დედოფალი ერიკა ბადუა.

– ეს მომღერალი ერთ-ერთი გამორჩეულია როგორც სიმღერის მანერით, ასევე ინსტრუმენტალური შესრულებებითაც. 4 გრემი უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ერიკა ბადუ ნამდვილად დიდი ვარსკვლავია, რომელიც ამჯერად უკვე თბილისის საკონცერტო დარბაზის სცენაზე იმღერებს. დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში ერიკა ბადუს ექსკლუზიური სარეკლამო ნივთები გაიყიდება – სიდები, ბილეთები, ბანერები.

თბილისის ჯაზ-ფესტივალის ჩატარებამდე კომპანია „ისთერნპრომოუშენმა“ საავტორო უფლებების ლიცენზია შეიძინა. საავტორო უფლებათა ასოციაციასა და „ისთერნპრომუშენს“ შორის საავტორო უფლებებით სარგებლობის ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით მემორანდუმი გაფორმდა. კომპანიის მიერ გამართულ კონცერტებზე შესრულებული ნაწარმოებები საავტორო ლიცენზიით იქნება დაცული და ავტორები ასოციაციის დახმარებით კუთვნილ ჰონორარებს მიიღებენ. ქართველი შემსრულებლების გარდა, ჰონორარებს საქართველოში ჩამოსული უცხოელი მუსიკოსებიც აიღებენ.

– ეს მემორანდუმი ითვალისწინებს ყველა იმ ღონისძიების მონაწილეს, რომელსაც „ისთერნპრომოუშენი“ გეგმავს, კუთვნილი ჰონორარი მივცეთ. ნამდვილად დადგა დრო, რომ ავტორებმა საკუთარი შრომის საფასური მიიღონ. ეს სფერო უნდა მოწესრიგდეს, კომერციალიზაცია უნდა მოხდეს და სიმღერის ტექსტისა თუ მელოდიის ავტორებმა უნდა მიიღონ ის, რაც ნამდვილად ეკუთვნით და ჩვენც ცივილიზებულები უნდა გავხდეთ ამ სფეროში, – განაცხადა მიშა გიორგაძემ.

ასე რომ, თბილისის მე-14 საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე ეს მემორანდუმი უკვე ძალაშია. ფესტივალზე დასასწრები ბილეთები 11 ოქტომბრიდან იყიდება. კონცერტები დიდ საკონცერტო დარბაზსა და ივენთ ჰოლში ჩატარდება. საღამოებზე დასასწრები ბილეთების ფასი 30-დან 150 ლარამდეა. ყველაზე ძვირი – ერიკა ბადუს ბილეთებია. თუკი ჯაზის მოყვარულები აბონიმენტის შეძენას გადაწყვეტენ, 5 კონცერტში მათ 200-250 ლარის გადახდა მოუწევთ.

# კახეთში 34 წლის ქალმა 23 წლის გოგონა დაჭრა

კახეთში 34 წლის ქალმა 23 წლის გოგონა დაჭრა. ინციდენტი ყოფილი მეუღლის გამო მოხდა. პირველი ცოლი ქმრის ოჯახში შვილების სანახავად მივიდა, მეუღლის მეორე ცოლზე გაბრაზდა, ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა და ადგილიდან მიიმალა.

ინციდენტი სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში მოხდა. დაშავებულის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მას სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა.

პაციენტი წნორის საავადმყოფოშია მოთავსებული. 23 წლის ახალგაზრდა ქალი მუცლის, ბარძაყისა და მაჯის არეშია დაჭრილი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას სიღნაღის პოლიცია აწარმოებს.

**პრაიმ–ნიუსი**

# ნიკა გილაური: წელს ეკონომიკის ზრდა 6% იქნება


ნიკა გილაური

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის გამო 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები შევა.

ამის შესახებ გუშინ, ბათუმში გამართულ მთავარობის გასვლით სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.

– ჩვენ 2011 წლის მესამე კვარტალი გვქონდა უკეთესი ვიდრე ველოდებოდით და მესამე კვარტალში ზრდა არის მინიმუმ 7,3 % და ეს არის წინასწარი ციფრი.

რაც გვაძლევს იმის საფუძველს რომ 2011 წლის განმავლობაში ზრდა 6 %-იანი იქნება და არა 5,5 %, როგორც ეს დაგეგმილი იყო. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ბიუჯეტში შევიტანოთ ცვლილებები და 6 %-იანი ეკონომიკური ზრდის ფონზე დავგეგმოთ. თუმცა მინდა ვთქვა, რომ 6 %-ი არის კონსერვატიული ციფრი, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც.

– მნიშვნელოვანია რომ სსფ-მ 20 ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა ჩვენს რეგიონში და ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა რომელიც ეკონოიმიკური ზრდის პროგნოზს ვზრდით და 6-ზე აგვყავს. ეს არის დამატებითი რეკლამა ახალი ინვესტორევისთვის, რომლებიც ეხლა ეძებენ ახალ ბაზრებს, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

**პრაიმ–ნიუსი**



## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 27 ოქტომბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** ევროპული არჩევანი **13.50** აღმოაჩინე საქართველო **14.30** დოკ. ფილმი "რჩევები ახალგაზრდა რეჟისორებს" **15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ადამიანის შემდეგ" **18.00** ან. ფ."ადამიანი ობობა" **19.05** სერ.**"მისამართი უცნობია" 21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** თოქ-შოუ "არენა" **00.00** სი ბემოლი **01.00** მხ.ფ.**"ქარიშხლიანი მაღლობები"** (ჯ. ბინოში) **02.50** მოამბე **03.10** სერ. **"ზიანი"** (12) **04.10** მხ. ფ. **"სასკოლო კავშირები"** (ბ. ფრეიზერი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00, 01.00** სერ. **"ელიტარული უბანი" 20.00** მხ. ფილმი **"ჰაუ 2 ო" 01.00** მხ. ფილმი **"ვანილის ცა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"როსალინდა" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** ჯეოსტარის კონცერტი **3** (გან.) **18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი" 19.45** სერ.**"სახლი მეზობლად" 22.00** პროფილი **00.00** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"მოპარული ბედნიერება" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25** ქრონიკა **11.40** სერ. **"ქალის სიტყვა" 12.30** დღის შოუ **14.30** ტვმარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი" 16.00** სერ. **"შურისძიების საფასური"** მე-4ს. **17.40** სერ. **"ევა ლუნა" 18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** თოქ-შოუ (გან.) **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **00.45** რემონტი **01.20** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (ბ. პიტი) (სუბტ.) **03.25** მხ. ფილმი **"სამუშაო"** (15) (დ. ჰანა) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 11.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 3" 13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერ. **"ტყუპები" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ.**"მისი სულის მუსიკა" 21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე" 10.00** დოკ. ფილმი **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ამანდა ო" 12.50, 19.35** სერ. **"ადვოკატი" 15.15** სერ. **"ექიმი ქმორი" 16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ცისკრის ზარები" 13.40** კონცერტი – სულიერება და მუსიკა **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** მხ. ფილმი **"მამლუქი" 17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დოკ. ფილმი "იწყება ზღაპარი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.20** ტელეზღაპარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"გზა მშვიდობისა ჯაყო" 21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გამოყენებითი ხელოვნება **21.35** აქტუალური თემა **22.20** დოკ. ფილმი "გია ყანჩელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმის გაგრძელება **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – "ისევ ის ბაღი" შოთა მილორავა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 ოქტომბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**


აშშ დოლარი — 1,6613


ევრო —2,2702


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208


რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7–9, ღამით — 1–6

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12–15, ღამით — 7–10

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 2–7, ღამით — -2–2

**ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისთვის**




# მხოლოდ „ახალი თაობის" მკითხველებისთვის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი"

## პირველი 10 ტომი — 1 წიგნი 5 ლარად

**27 ოქტომბერს გაზეთთან ერთად გაიყიდება პირველი ტომი — განდი**
**28 ოქტომბერს — მე-2 ტომი — ფრანკო**
**29 ოქტომბერს — მე-3 ტომი — ჩერჩილი, წიგნი 1**
**1 ნოემბერს — მე-4 ტომი —ჩერჩილი, წიგნი 2**
**3 ნოემბერს — მე-5 ტომი —სერვანტესი**
**5 ნოემბერს — მე-6 ტომი —რიშელიე**
**11 ნოემბერს — მე-7 ტომი —მარკესი**
**15 ნოემბერს — მე-8 ტომი —ნაპოლეონი**
**17 ნოემბერს — მე-9 ტომი —ვაჟა-ფშაველა**
**19 ნოემბერს — მე-10 ტომი —კეისრები**




## ასტროპროგნოზი 27 ოქტომბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**ეს დღე მშვიდად გაატარეთ**

**ვერძი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ახალი საქმე მოგეწონებათ, წინსვლა გელით. **ქალწული** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **სასწორი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, ნუ გადაიღლებით. **ღრიანკალი** — საღამოს ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ბედი გწყალობთ, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მერწყული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თევზები** — წარმატებული დღეა, მთავარია არ იზარმაცოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 2. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 5. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 7. აღმოსავლური ტკბილეული; 11. ობიექტურად არსებული სინამდვილე; 13. ევრაზიის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფო; 15. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 16. ინდიელი მამაკაცისა და ზანგი ქალის ქორწინების შთამომავალი; 18. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 19. ფულის ერთეული სომხეთში.

**თარაზულად:** 6. კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი გერმანელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა; 9. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 10. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 12. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 17. ხილის წვენების პიურესგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი; 20. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 21. მე-13 საუკუნის მონასტერი ხულოს რაიონში; 22. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 23. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა.*




# ნინო ანანიაშვილი აზერბაიჯანში იცეკვებს

*ეკა ირემაშვილი*

ქართველი პრიმა ბალერინა ნინო ანანიაშვილი აზერბაიჯანში იცეკვებს. ქართულმა საბალეტო დასმა საგასტროლო ტურნე სწორედ აზერბაიჯანში დაგეგმა, სადაც მთელი დასი ორ სპექტაკლში იცეკვებს. ბაქოში მაესტრო ჯანლუკა მარჩიანო და ორკესტრის მუსიკოსებიც არიან მიწვეული.



„საგალობელი" და „სიზმრები იაპონიაზე" — ეს ის საბალეტო წარმოდგენებია, რომლებსაც ქართველი მოცეკვავეები აზერბაიჯანში იცეკვებენ. საბალეტო დასთან ერთად ნინო ანანიაშვილიც იცეკვებს. სპექტაკლში „სიზმრები იაპონიაზე" ყველა სოლისტი იცეკვებს, ხოლო „საგალობელი" ქართულ მელოდიებზეა დადგმული და მაყურებელში საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს.

აზერბაიჯანში გამგზავრებამდე ქართული საბალეტო დასის საქართველოში დაგეგმილი საგასტროლო ტურნეები ფოთისა და ქუთაისის შემდეგ

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ამერიკელები „სოხუმის" წინააღმდეგ

**ბოლო დროს ქართულ საკალათბურთო სამყაროში დიდი ამბები დატრიალდა და მალე შესაძლოა, სკანდალიც აგორდეს. თუმცა, ყველაზე ცუდი ის იქნება, რომ ამ სკანდალში გახვეული იქნება გუნდი „სოხუმი", რომლის ევროტურნირზე გასვლას საქართველოს პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ფაქტია, „სოხუმის" საქართველოს სახელით თამაში უკვე ბევრის მიმანიშნებელია ყველასთვის, მაგრამ...**



ევროტურნირების წინ სოხუმელთა რიგები რამდენიმე ამერიკელი კალათბურთელით შეივსო და „მინსკთან" პირველ მატჩში ისე იყოჩაღეს, რომ ქართველი გულშემატკივრების დიდი სიმპათიებიც მოიპოვეს. თუმცა, განმეორებით მატჩში ამერიკელები სრულიად ჩაიკარგნენ და „სოხუმი" ევროტურნირს დაემშვიდობა, ხოლო სულ მალე „სოხუმს" 3 ამერიკელი — პიერ პირსი, ფრენკ რობინსონი და მარკ სალიერსი დაემშვიდობება.

მათი წასვლა და მითების აგორება ერთი იყო — „მინსკთან" საპასუხო მატჩამდე პიერ პირსს თურმე მიხეილ ბერიშვილისთვის შეუგინებია, რასაც დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყოლია, ქართველებს ამერიკელები უცემიათ, ხოლო ნაცემ ამერიკელებს ბელარუსებთან თამაში შეგნებულად ჩაუგდიათ. თუმცა, მანამდე იყო ინფორმაცია, რომ სოხუმელ კალათბურთელებს ხელფასს ვერ უხდიდნენ და გუნდი ვარჯიშებზე ან საერთოდ არ დადიოდა, ანაც სანახევროდ ცხადდებოდა. კულუარულად იმასაც ამბობდნენ, რომ ხელფასის გადაუხდელობის მიზეზი გუნდის პრეზიდენტის, რუსეთში მცხოვრებ

გაგრძელება მე-11 გვერდზე